ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

დღიური

რურის ოკუპაცია: დეგუტის განკარგულება გადასახლებულთა შესახებ, გაფიცულთა ფონდის დაკავება, [illegible] ნაბიჯები, კომუნისტები ესენში, ტერორისტული აქტები.

საფრანგეთში: მაღაროებში გაფიცვები გრძელდება, [illegible]გის არჩევა.

ინგლისში: ერთიანი მუშათა ფრონტი, უმუშევრები და მაკდონალდი

ბელგია: სამთომადნო მუშების გაფიცვა.

ავსტრიაში: რეაქციონურ პარტიების შეთქმულება.

№ 44 კვირა 5, თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 44

დღეს სრულდება ორი წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან

ლხთა შორის მტრობის, მენშევიკური რეჟიმის ნანგრევებზე აღმოცენებული საბჭოთა საქართველო სდგას დღეს ურყევათ, გაერთიანებული სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებთან მშრომელთა ერთ დიდ კავშირში

გაუმარჯოს იმპერიალიზმისა და მენშევიზმის უღლიდან განთავისუფლებულ მშრომელი ხალხის აღმშენებლობითი მუშაობას!

გაუმარჯოს მის დამცველ წითელ არმიას და ხელმძღვანელს—კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელს მსოფლიოში!

ორი წლის თავზე

უდიდესია ის მნიშვნელობა, რო- რც ჩვენი მშრომელი ხალხის, ისე ერთაშორისო რევოლიუციის ინტე- ესების თვალსაზრისით, რომელიც ს ამ ორი წლის წინედ საქართვე- ოში მომხდარ გადატრიალებას.

სწორედ ორი წლის წინედ, 1921 ის 25 თებერვალს, დაემხო ჩვენში ნშევიკების ბატონობა და გამო- ადდა საბჭოთა ხელისუფლება.

რა იყო წინედ, ამ ისტორიულ არიღამდე, და რა მდგომარეობა ექმნა მის შემდეგ?

მენშევიკებმა, რომელნიც აღმო- ჩნდნენ მუშათა კლასის მოღალატენი, ენი ქვეყანა ჩამოაცილეს რევოლიუ- ას და მის კერას—საბჭოთა რუ- სეთს.

აქ ისინი შეუდგნენ ბურჟუაზიულ ოლიტიკის გატარებას.

შინაურ ცხოვრებაში მათ არ მოუ- ხდენიათ არც ერთი ძირითადი, არსე- ბითი ხასიათის ცვლილება მშრომე- ლი ხალხის სასარგებლოდ.

პროლეტარიატი და მისი ორგანი- ზაციები დარჩა უუფლებოდ; მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა უარესდა; ამ მხრივ მის ბედს განა- გებდა ნეტარხსენებული პარიტეტუ- ლი სატარიფო პალატა, რომელიც წარმოებლების ინტერესებზე უფრო ფიქრობდა, ვინემ დაქირავებულ შრო- მის დაცვასა და მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

გლეხობამ ვერ მიიღო დაპირებული მიწა, რომელიც სავსებით შერჩათ მემამულეებს.

არ მომხდარა რაიმე სერიოზული რეორგანიზაცია განათლების, სასამა- რთლოს, სარწმუნოების და სხვა დარ- გებში. ყველგან გამეფებული იყო ბურჟუაზიულ-ფეოდალური სული. მე- ნშევიკები არ ცდილან ხალხის კულ- ტურულ-პოლიტიკურ გათვითცნობიე- რებას.

ათ არ უზრუნვიათ სახალხო მეუ- ობის—სასოფლო მეურნეობის და წველობის აღორძინებაზე. ისინი რბოდნენ სახელმწიფოს უშუალო ვას ეკონომიურ ცხოვრებაში, ხო- კერძო წარმოებლები, რომელთაც მოქმედების სრული თავისუფლე- ანიჭეს, თავის-თავად ცხადია, თავისუფლებას მხოლოდ ბოროტი ულიაციისათვის იყენებდნენ, რის ობით ქვეყანა მივიდა კატასტ- იულ მდგომარეობამდე, რაც აშ- ად აღიარეს თავის არსებობის სრულში თვით მენშევიკებმა.

გარეგნულად კი მენშევიკები ცდი- ბდნენ შეექმნათ ისეთი შთაბეჭ- ლება, თითქო ისინი ამკვიდრებდნენ მოკრატიის ბატონობას. მაგრამ რმალური დემოკრატიის და პარ- ნტარული რეჟიმის სახით ხდე- და ჭეშმარიტი დემოკრატიის ნე- ბოფის უსაძაგლესი ფალსიფიკა- ა. ამ დემოკრატიული „სიტყვიე- ბის“ ატმოსფერაში და „დემოკრა- ულ დაწესებულებათა“ ფორმებში ურჟუაზია ხუნდებს სჭედდა მშრო- მასსების დასამონებლად.

ამასთან კიდევ აღსანიშნავია ერთი რე მენშევიკების პოლიტიკის. ბუ- უაზიულ პოლიტიკას მუდამ ახასი- ებს არა მარტო ერთი ადამიანის აგვრა მეორის მიერ, არამედ ერ- ის შევიწროება-დევნა მეორი- ს და ჩვენ ვხედავთ, რომ მენშე- ების დროს უაღრესად გამწვავდა ონალური დამოკიდებულება რო- ც საქართველოში მოსახლე ხალ- შორის, ისე მეზობელ რესპუბლი- ან. ფეხქვეშ გათელვა ნაციონა- უმცირესობათა უფლებებისა ქვე- შიგნით, ხშირი ომები მეზობ- თან,—ეს ჩვეულებრივ მოვლენას ოადგენდა მენშევიკურ საქართ- ოში.

მენშევიკების საგარეო პოლიტიკა ებით შესაბამებოდა მათ მიერ ოოდ აღებულ ბურჟუაზიულ ას.

ხული უარყოფა რევოლიუციის რუსეთთან კავშირის და ორიენ- ცია დასავლეთის იმპერიალიზმზე,— თელი მისი შინაარსი.

კონკრეტულად ეს ნიშნავდა ჩვენი ნის გადაქცევას მსოფლიო იმპერია- ის კოლონიად, ანტანტის სათა- ო მოედნად.

ჩვენი ქვეყანა, ეს ევროპა-აზიის ერთებელი კარიდორი მათ ჩაუგ- ხელში ანტანტის იმპერიალის- ს, რომელთაც ის გადააქციეს ბა- რევოლიუციის წინააღმდეგ. აქედან ისინი ამზადებდნენ შეტევას ნავთით მდიდარ ბაქოს დასაპყრობად, საბჭოთა რუსეთის და ახლო-აღმოსავლეთის დასამონავებლად.

ამ გვარად, მენშევიკების წყალობით დიდი საფრთხე მოელოდა რუსეთის პროლეტარიატს და მსოფლიო რევოლიუციას.

მენშევიკების ასეთ გამყიდველ პოლიტიკას, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხვდებოდა საქართველოს რევოლიუციონური პროლეტარიატი და გლეხობა. ის განუწყვეტელ და თავდადებულ ბრძოლას აწარმოებდა მათ მიერ დადგმულ ბორკილების დასამსხვრევად.

ორი წლის წინედ, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს მშრომელ მასსებმა, წითელ არმიის დახმარებით, შესძლეს ამ ვაჟბატონების გაძევება და ძალა-უფლების დაპყრობა.

მას შემდეგ გავიდა სრული ორი წელიწადი. რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ? ორი წელი ხანგრძლივი დრო არ არის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში დიდი შედეგების მისაღწევად. მაგრამ უდიდესი იყო მშრომელი ხალხის და მისი მთავრობის მისწრაფება და ენერგია ცხოვრების ასაღორძინებლად ახალ საფუძვლებზე.

მშრომელი მასსა განუზიარებლად ფლობს სახელმწიფო ძალა-უფლებას. ის უშუალო და აქტიური მონაწილეა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ შემოქმედების.

მუშათა კლასის მდგომარეობა, ქვეყნის სამეურნეო გამოცოცხლებასთან ერთად, საგრძნობლად გაუმჯობესდა.

სულ მოკლე დროში დამთავრდება აგრარული რეფორმა და გლეხობას მიეცემა მთელი მიწა-წყალი.

უდიდესი ნაბიჯებია გადადგმული სასოფლო მეურნეობის ასაყვავებლად, მთელი რიგი სამელიორაციო სამუშაოებების გატარებით.

აგრეთვე საგრძნობი წარმატება ეტყობა მრეწველობას. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა.

დიდი რეფორმებია გატარებული ხალხის განათლების და სხვა დარგებში.

ეროვნული შუღლი მოისპო და ჩამოვარდა ნაციონალური მშვიდობიანობა.

მწარე მოგონება ღა დარჩა ძველი, მენშევიკების მიერ წარმოებულ ომებიდან მეზობლებთან.

ჩვენი რესპუბლიკა მჭიდრო კავშირით შეეკრა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებს, და ამგვარად შეიქნა საბჭოთა ფედერაციის მშრომელთა ერთიანი უძლეველი ფრონტი. გაერთიანებული ძალებით გამარჯვებული მშრომელნი უკეთ შესძლებენ, როგორც ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებას, ისე ფედერაციის დაცვას გარეშე მტრებისაგან.

ყველა ამასთან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მიღწევა ჩვენი შინაური ცხოვრების სფეროში: ორი წლის განმავლობაში სავსებით გაკოტრდა და გაიხრწნა მენშევიკური პარტია, მან დაკარგა ყოველგვარი ნიადაგი ხალხში. მთელ მშრომელ მასსაში მოხდა უდიდესი გარდატეხა, ის აქტიური დამცველია საბჭოთა ხელისუფლების.

ორი წლის თავზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა ვით სალი კლდე. ჩვენი მშრომელი ხალხი ახალ საფუძვლებზე ცხოვრების ყოველმხრივი განვითარების მკვიდრ ლიანდაგზე შემდგარი, საბჭოთა ფედერაციის მშრომელ მასსებით ზურგ გამაგრებული, პროლეტარული რევოლიუციის წითელი დროშით ხელში ურყევლად დგას აღმოსავლეთის კარებთან დაიმედებული, რომ შორს არ არის ის დრო, როცა როგორც იქ, აღმოსავლეთში, ისე მთელ მსოფლიოში დაჰკრავს საათი წითელი ოქტომბრის. ამ იმედს მას უფრო უღვივებს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, იმპერიალისტური ბურჟუაზიის სასიკვდილო კონვულსიები და პროლეტარიატის მზადება მისთვის სამუდამო სამარის გასათხრელად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ შავიქვის მრეწველობის გასაძლიერებლათ

შავი ქვის მრეწველობის ასაღორძინებლად და გასაძლიერებლად არსებობს საქართველოში ორი ორგანიზაცია: 1) შავი ქვის მრეწველთა საბჭო და 2) საექსპორტო საზოგადოება „ჩემო“ (**Чиатурское Экспортное Марганцевое Общество**).

მრეწველთა საბჭოს ვალდებულებას შეადგენს სამრეწველო გზების გაკეთება ჭიათურის რაიონში, მოვლა და შენახვა მუშებისათვის სამრეწველო საავათმყოფოსი, სადაც მუშებს ექიმობა უფასოთ აქვთ, წყალსადენების მოვლა და გაყვანა სამრეწველო სოფლებში, საერთოდ ყველა ის ფუნქციები, რომლებთაც მუნიციპალური ხასიათი აქვს. ყოველივე ამისთვის საჭირო ხარჯების დასაფარავად მრეწველთა საბჭოს აქვს მინიჭებული მთავრობისაგან ნახევარი კაპ. საფუთო გადასახადი საზღვარ გარეთ გატანილი ყოველ ფუთ მარგანეცზე. ამ გადასახადმა თუ ვერ დაფარა. ეს ხარჯები, მაშინ თვით შავი ქვის მრეწველნი ვალდებულნი არიან დაფარონ ეს ხარჯები.

საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში გამოცხადების დროს, მრეწველთა საბჭო, აშკარათ შეგვიძლია ვსთქვათ, სულს ღაფავდა. არავითარი სახსარი არსებობისა მას არ მოეძებნებოდა. ყოფილი მთავრობა, როგორც ეს საზოგადოთ სჩვევია მენშევიკებს, ვითომც კიდევაც აქცევდა ყურადღებას საბჭოს. ფაქტიურათ კი მდგომარეობა ასეთი იყო, რომ ყველა ის დარგები, რომელიც ებარა მრეწველთა საბჭოს, უკანასკნელ კრიზისს განიცდიდენ. გზები არამც თუ არ კეთდებოდა, გაკეთებულიც მივიწყებული იყო. საავათმყოფო დიდი ხნის განმავლობაში არ მუშაობდა, არ ჰქონდათ სათბობი მასალა, წამლები, სარჩო ავათმყოფებისათვის და ჯამაგირისთვის საჭირო ფული მოსამსახურეთათვის. ამიტომაც უმთავრესი კორპუსი საავათმყოფოსი ჭიათურაში დაკეტილი იყო და ავადმყოფ მუშებს საცოდავათ თავი ჰქონდათ შეფარებული ეგრეთ წოდებულ ბარაკში, რომელიც რა თქმა უნდა ვერ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას. ამ ბარაკში წინეთ მხოლოთ სასიკვდილოთ გამზადებულებს აწვენდენ ხოლმე. მაღნებში უბედურ შემთხვევებისაგან დაშავებულ მუშებს ათავსებდენ ერთხანს კერძო სახლში და საჭმელ სასმელიც კერძო პირს უნდა ემზადებია ხოლმე. ერთი სიტყვით ეს იყო არა საავათმყოფოს წესით წამლობა, არამედ მკითხავ—აქიმების დამახასიათებელი ჩვეულებანი. სახლები, რომლებიც საბჭოს საკუთრებას შეადგენდენ, ფუჭდებოდენ, შემკეთებელი კაცი არ იყო, მათთვის ვილას ეცალა. თვით ორგანიზაცია, საბჭო ისე მიილულა სადღაც, რომ იმ ერთხელ ძლიერი ორგანიზაციის აჩრდილიც აღარ სჩანდა. არც კი იცოდა კაცმა, არსებობდა თუ არა ამგვარი ორგანიზაცია. ასეთი იყო საერთოთ საბჭოს მდგომარეობა. ჩვენ არ შევჩერდებით საბჭოს განსაზღვრულ ფუნქციების უმოქმედობაზე, ეს შორს წაგვიყვანდა.

მოხდა გადატრიალება და საქართველოში გამოცხადდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, რომელმაც ძალიან კარგათ იცოდა თუ რა საჭირო იყო ჩვენი ქვეყნისთვის მრეწველობის განვითარება. მრეწველთა საბჭომ დაიწყო ნელნელა გამოცოცხლება.

ამ ხნის განმავლობაში მრეწველთა საბჭომ აღძრა სხვა და სხვა შუამდგომლობები მთავრობის წინაშე 40 შუამდგომლობა. მათ შორის 25 დაკმაყოფილებულია სავსებით, ესე იგი ისე როგორც ნათხოვნი ჰქონდათ მრეწველებს. 5 შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია მცირე შეცვლით ან ნაწილობრივ. 6 შუამდგომლობა ჯერჯერობით მსვლელობაშია და მხოლოთ 4 შუამდგომლობაზეა მიღებული მთავრობისაგან უარი.

დაკმაყოფილებულ შუამდგომლობათა შორის აღსანიშნავია:

წესდების შესწორება და შეცვლა, საფუთო გადასახადის შემოღება მრეწველთა საბჭოს სასარგებლოთ, და სესხის მიცემა (50,000 მანეთი ოქროთი). ესე იგი უმთავრესი, რითაც მრეწველთა საბჭოს შეუძლია იარსებოს და აკეთოს თავისი საქმე. ერთი სიტყვით ის შუამდგომლობები, რომელნიც მრეწველთა სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხათ იყო გადაქცეული დაკმაყოფილებულია მთავრობისაგან სავსებით და ეს იმ დროს, როდესაც თვით მთავრობა ფინანსიურათ გასაჭირს განიცდის. უარი ეთქვა მრეწველთა საბჭოს ისეთ კითხვებზე, როგორიც არის 1) განთავისუფლება მრეწველების სამრეწველო გადასახადისაგან, 2) საზ. „ჩემო“-ს წესდების შეცვლის შესახებ, რაც თვით „ჩემო“-ს კომპენტენციას შეადგენს და არა კერძოთ მრეწველთა საბჭოსას, და სხვა წვრიმალი საკითხები, რომლებსაც საშუალო მნიშვნელობაც არა აქვთ.

ამნაირათ მრეწველთა საბჭო გამოცოცხლდა, ამოძრავდა, დაიწყო მუშაობა და მიუხედავათ იმ დიდი უბედურებისა, რომელიც ეწვია ჭიათურას და, მის რაიონს წყალდიდობის გამო, რომელმაც წაიღო დამზადებული ქვა, წალეკა და გააფუჭა გზები, წა ლო ხიდები და სხვა,—მრეწველთა საბჭოს აქვს სრული საშუალება მინიჭებული მთავრობისაგან შეასრულოს თავისი დანიშნულება შავი ქვის მრეწველობის ასაღორძინებლათ. მთავრობამ შეასრულა ამ მხრით თავისი მოვალეობანი სავსებით. ვნახოთ რას იზამს მრეწველთა საბჭო და როგორ გაამართლებს იგი მასზე დამყარებულ იმედებს. ყოველ შემთხვევაში სიტყვა მრეწველთა საბჭოზეა.

გადავიდეთ ეხლა შავი ქვის მრეწველობის მეორე ორგანიზაციაზე. ეს არის საზ. „ჩემო“.

საქართველოში საბჭოთა ძალა უფლების გამოცხადების დროს ეს საზოგადოება ფაქტიურათ აღარ არსებობდა.—ნახევარზე მეტი წევრები უკვე გამოსული იყვნენ საზოგადოებიდან და თვით საზოგადოება ამიტომ ლიკვიდაციის გზაზე იყო. ამის მიზეზი იყო ის ძალმომრეობა, რომელსაც მენშევიკური მთავრობა აწარმოებდა ამ საზოგადოების წინააღმდეგ. ყოველგვარ შევიწროებას განიცდიდა ეს საზოგადოება მენშევიკურ მთავრობისგან და როდესაც ჩაუკვირდები ყველა იმ დაბრკოლებებს, რომელსაც უყენებდა საზოგადოებას ეს მთავრობა, იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ მენშევიკები სრულს ბეცობას იჩენდენ ამ საქმეში და იმით კი არ იყვნენ დაინტერესებული, რომ წარმოება განვითარებულიყო, არამედ იმით, რომ რაც შეიძლება მეტი ჩამოეგლიჯათ მრეწველობისგან, ხოლო ასეთი საქციელის შედეგით მრეწველობისთვის არ იყვნენ დაინტერესებული. ამან ჩააყენა „ჩემო“-ს წევრები ისეთ მდგომარეობაში, რომ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ბევრი მათგანი იძულებული შეიქნა გამოსულიყო საზოგადოებიდან. უმთავრესი მიზეზი კი საზოგადოებიდან გამოსვლისა იყო შემდეგი გარემოება: მენშევიკების მთავრობას ჰქონდა დაწესებული უცხოელ ვალიუტაზე ძალდატანებითი კურსი. ასეთი წესის შემოღების დროს მთავრობა არ ხელმძღვანელობდა არავითარი ნორმებით. საზ. „ჩემო“ წესდების ძალით იძულებული იყო მთელი თავისი ვალიუტა, აღებული მარგანეცში, გადაეცა მთავრობისათვის, რომელიც უსწორდებოდა საზ. „ჩემო“-ს ამ ნაძალადევი კურსით. ეს კურსი კი ძალიან ხშირათ ისეთი იყო, რომ 50 პროც. განსხვავდებოდა ბირჟის კურსიდან. მაგ. როდესაც გირვანქა სტერლინგი ბირჟაზე ფასობდა 8000 მან. მთავრობა აძლევდა „ჩემო“-ს 4000 მ. და ასე ბოლომდი. დიდხანს ითმინა „ჩემო“-მ ასეთი წესი და ბოლოს, როდესაც შეუძლებელი შეიქნა მეტის მოთმენა, დიდმა უმრავლესობამ ოფიციალური განცხადება შეიტანა საზოგადოებაში და გამოვიდა იქიდან. ასეთი წესი შეიძლება ერთ თავით ხელს უწყობდა მთავრობას, რომ მას სისტემატიური კრიზისები თავიდან აეშორებია, მაგრამ თვით შავი ქვის წარმოება დაღუპვისაკენ მიყავდა: მაღნებში არავითარი მუშაობა არ წარმოებდა და მრეწველობა მხოლოდ ძველი მარაგით სცხოვრობდა. მრეწველები, რადგან ხედავდენ თუ რა საფრთხე მოელოდათ, გაწყვიტეს კავშირი „ჩემო“-თან და ამით დაირღვა ის მონოპოლია შავი ქვის ექსპორტისა, რომელიც მთავრობამ დააკანონა და რომელიც მთავრობას ეკუთვნოდა. ასეთ მდგომარეობაში დახვდა შავი ქვის მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც მაშინვე შეუდგა დანგრეულის აშენებას და გაგზავნა საზღვარ-გარეთ დელეგაცია თვით მრეწველებისა. დელეგაციის მიზანი იყო გაემართა მოლაპარაკება „ჩემო“-ს ყოფილ წევრებთან, რომ ისინი ისევ შემოსულიყვნენ საზოგადობაში. ამ მოლაპარაკებამ და საერთოთ მუშაობამ „ჩემო“-ს გამოსაცოცხლებლათ თითქმის ერთი წელიწადი დრო მოინდომა და ისიც მართლაც გამოცოცხლდა და მუშაობა დაიწყო. ამის შემდეგ მრეწველებმა აღძრეს მთელი რიგი შუამდგომლობებისა მთავრობის წინაშე და საყურადღებოა ამ შუამდგომლობების ასრულება.

სულ აღძრულია 35 შუამდგომლობა, მათ შორის 22 სავსებით დაკმაყოფილებული იქნა, 3 დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, 2-ზე უარი უთხრეს და 8 მსვლელობაშია. დაკმაყოფილებულთა რიცხვში ღირსშესანიშნავია შუამდგომლობა ვალიუტის თავისუფლათ სარგებლობის შესახებ, რა მიზეზითაც თავის დროზე საზოგადოება „ჩემო“ და შალა და რომელი კითხვაც სავსებით იქნა მოგვარებული მთავრობისგან. არის აგრეთვე სესხის საკითხი, რომელიც აგრეთვე სავსებით იყო დაკმაყოფილებული. უარი ეთქვა: საფუთო გადასახადის განაწილების შესახებ ფოთის და ჭიათურის შორის და შორაპანში მარგანეცის გადატვირთვისათვის ძველი ფასების დაწესების შესახებ.

ამგვარათ საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა ყოველისფერი შავი ქვის მრეწველობის განვითარებისათვის და მიაქცია მას ისეთი ყურადღება, რომლის მსგავსი არც ერთ მთავრობას არ მიუქცევია, და დღესაც, თუ კი არის რამე ისეთი, რაც ხელს უშლის მრეწველობის განვითარებას, მთავრობა მყისვე ღებულობს ყოველგვარ ზომებს ამ დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლათ.

ერთ-ერთ თავის სხდომაზე ამ თვეში მთავრობამ დაადგინა: წინადადება მიეცეს საზ. „ჩემო“-ს დაუყოვნებლივ წარმოადგინოს თავის მოსაზრებები თუ რა გარემოებები უშლის ხელს მრეწველობის უფრო განვითარებას და ექსპორტის გადიდებას.

ცხადია, საზ. „ჩემო“ ამის შესახებ თავის მოხსენებას წარადგენს და მთავრობაც ზომებს მიიღებს დაბრკოლებების თავიდან ასაშორებლათ.

ასეთია მთავრობის ზრუნვა შავი ქვის მრეწველობის განვითარებისათვის. მაგრამ სამაგიეროთ მთავრობასაც აქვს უფლება მოსთხოვოს „ჩემო“-ს, რომ მან იზრუნოს რესპუბლიკის საკეთილდღეოთ. ვნახოთ როგორ შეასრულებს ის თავის მოვალეობას.

ქ. მოდებაძე.

ამნისტია

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

წითელი არმიის 5 წლის თავისა და საქართველოს პროლეტარული რევოლიუციის 2 წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმას, ვისაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის გადაეწყვიტა უმაღლესი ზომის სასჯელი, ეს სასჯელი შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთად სასტიკი იზოლიაციით.

2. განთავისუფლებულ იქნეს სასჯელისა და ყველა მისი შედეგისაგან (გარდა უკვე სისრულეში მოყვანილი ქონებრივი გადასახდელისა) ის, ვისაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან ერთი წლით და ყველა სხვა უფრო მცირე სასჯელი, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთა პირობით ან იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად, მიუხედავათ სასჯელის ვადისა.

3. მოსპობილ იქნეს სრულიად საქმე, რა სტადიაშიაც იგი უნდა იმყოფებოდეს, იმ პირისა, ვისაც ჰბრალდება ამა დადგენილების გამოცემამდე ჩადენა ისეთი დანაშაულისა, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა.

შენიშვნა: 2 და 3 მუხლი გავრცელებულ იქნეს ადმინისტრატიული წესით დადებულ სასჯელზედაც.

4. შემცირებულ იქნეს ერთი მესამედით სასჯელი ყველა იმ პირისა, ვისაც გადაწყვეტილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით.

5. ამნისტია სრულიად არ ვრცელდება იმაზე, ვისაც მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 58—67, 69 და 72 მუხლში გათვალისწინებული მძიმე კონტრ-რევოლიუციონური მოქმედობისათვის, ამავე კოდექსის 76 მუხლში გათვალისწინებული ბანდიტიზმისათვის და 117 მუხლში გათვალისწინებული მექრთამეობისათვის, აგრეთვე ხელმეორედ ჩადენისათვის რაიმე დანაშაულისა, რომლის გამოც მსჯავრ დადებულს სასჯელი უკვე მოუხდია წინათ.

6. ამნისტია არ გავრცელდება იმ მსჯავრ დადებულზე, რომელსაც უმაღლესი ზომის სასჯელი, თვით განაჩენის დადგენისვე დროს ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ან წინანდელი ამნისტიის ძალით ერთხელ უკვე შეეცვალა თავისუფლების აღკვეთად.

7. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს იმ მსჯავრდადებულზედაც, წინა მუხლში აღნიშნულთა გარდა, ვისაც შეეფარდა წინანდელი ამნისტიები, ამასთანავე ამა ამნისტიის შეფარდების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სასჯელის ის ვადა, რომელიც მსჯავრდადებულს წინა ამნისტიის შეფარდების შემდეგ უნდა მოეხადა.

8. უკეთუ დაზარალებული თანხმობას არ განაცხადებს, ამნისტია არ გავრცელდება კერძო ბრალდების წესით აღძრულ საქმეზე, რომელიც შეიძლება შერიგებით დამთავრდეს, მაგრამ განაჩენის დადგენის დროს სასამართლო მოვალეა შეაფარდოს ამნისტია საზოგადო წესისამებრ.

9. ამა დადგენილების 3 მუხლის ძალით მოსპობა საქმისა არ განთავისუფლებს დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან, ამასთანავე სასამართლოს წარმოებაში უკვე მყოფი საქმე, სადაც სამოქალაქო სარჩელია აღძრული, სისხლის სამართლის წარმოების წესით განხილულ იქნეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სამოქალაქო სარჩელს ეხება; წინასწარ წარმოებაში მყოფი საქმის გამო კი, რომელიც ამა დადგენილების ძალით უნდა მოისპოს, სამოქალაქო სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის წარმოების წესით.

10. იმ ბრალდებულს, ვისი საქმეც ჯერ განხილულ არ არის, ან, თუნდაც განხილულია, მაგრამ საკასაციო საჩივრის შეტანის გამო განაჩენი კანონიერ ძალაში ჯერ არ შესულა, უკეთუ მას სურს თავი გაიმართლოს სასამართლოს წინაშე, ამა ამნისტიის შეფარდების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა შეუძლიან ითხოვოს თავისი საქმის განხილვა, ხოლო, თუ ასეთ შემთხვევაში საქმე განხილულია და განაჩენი დადგენილია, ამნისტია მას უკვე არ შეეფარდება.

11. ამა ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, რომელნიც სასჯელს უკვე იხდიან, დაევალოს იმ სასამართლო ან სხვა დაწესებულებას, რომლის განაჩენით ან დადგენილებით ხსენებულნი პირნი სასჯელს იხდიან.

12. იმ პირს, ვისაც ჩაუდენია დანაშაული ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, ხოლო მისი საქმე ჯერ არ განხილულა, ამნისტია ამა დადგენილებაში აღნიშნულ წესის და გამონაკლისის დაცვით უნდა შეეფარდოს შემდეგნაირად:

ა) საქმე ისეთი დანაშაულის შესახებ, რომლის ჩადენისათვისაც სისხლის სამართლის კოდექსში უმაღლესი დაწესებული სასჯელი არ აღემატება თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, უნდა მოსპობილ იქნეს სათანადო სასამართლო და სხვა დაწესებულების დადგენილებით ქვემდებარეობისამებრ;

ბ) ყველა სხვა საქმის გამო ამნისტია შეფარდებულ უნდა იქნეს განაჩენის დადგენისათანავე; ამასთანავე საკასაციო წესით წარმოებული საქმე ამნისტიის 3 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში დაუბრუნდება მოსასპობად იმ სასამართლოს, რომელმაც განაჩენი დაადგინა, ხოლო უკეთუ საქმე განხილულ იქნა საკასაციო წესით და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დამტკიცდა, ამნისტიას შეაფარდებს საკასაციო ინსტანცია.

13. ამნისტიის შეფარდება იმ პირისათვის, ვისაც საქართველოს საგანგებო კომისიის მსჯავრი დაედო, დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებისა, საგანგებო კომისიისა და უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის წარმომადგენლებისაგან.

14. ამნისტიის შემფარდებელ ორგანოს უფლება აქვს ცალკე, ამასთანავე გამონაკლისს შემთხვევაში, სთხოვოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ამნისტია არ შეეფარდოს იმ ცალკე პირს, რომლის განთავისუფლებამაც შეიძლება რესპუბლიკა განსაცდელში ჩააყენოს.

15. საგამომძიებლო ორგანოებმა ამა დადგენილების 3 მუხ. და 12 მუხ. „ა“ პუნქტის ძალით მოსასპობი საქმეები თავიანთი დასკვნით უნდა წარუდგინონ სათანადო სახალხო სასამართლოს, რევოლიუციონურ ტრიბუნალს ან საგანგებო კომისიას კუთვნილებისამებრ.

16. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა.

17. საჩივარი იმის შესახებ, რომ ამნისტია არ იყო სწორედ შეფარდებული, შეტანილ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისართან ადგილობრივი პროკურატურა მეშვეობით, ხოლო იქ, სადაც პროკურატურა ჯერ შემოღებული არ არის,—იუსტიციის განყოფილების მეშვეობით.

შენიშვნა: ადგილობრივმა პროკურორმა და იუსტიციის განყოფილებამ საჩივარი იუსტიციის სახალხო კომისარს უნდა წარუდგინონ თავისი დასკვნით.

18. საჩივარი იმის შესახებ, რომ ამა დადგენილების 13 მუხლში აღნიშნული კომისიის დადგენილება სწორე არ არის, შეტანილ უნდა იქნეს უშუალოდ რესპუბლიკის პროკურორთან.

19. საზოგადო თვალყურის დევნება იმისა, რომ დადგენილება ესე ცხოვრებაში იქნეს გატარებული, ევალება იუსტიციის სახალხო კომისარს. მასვე ევალება გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **სახაშვილი.**

1923 წ. თებერვლის 23.

ტფილისი—სასახლე.

ამოცანები სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

მიწის დაუთესაობასთან ბრძოლა არის ზრუნვა სასოფლო-მეურნეობის რიცხვობრივი გადიდებისათვის.

ამ მხრით, შეიძლება ითქვას, სრული გამარჯვება მოვიპოვეთ. საქართველოს თესვის კომიტეტების ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1922 წლის ივლისში დადასტურებულ იქნა, რომ ბევრ მაზრაში უკვე გამოყენებულია ყველა გამოსადეგი მიწები და რომ ამ მაზრებში სათესი მიწის სივრცის ზედმეტად გადიდება აღარ შეიძლება.

მაგალითად, კახეთში, სიმშილობის საშიშროებით დამფრთხალმა გლეხობამ, იწყო ვენახის აჩრა (თუმცა განსაკუთრებით ისეთი ვენახების, რომელთაც განახლება ესაჭიროებოდათ) და ამ მიწებზე ხორბალის ან სიმინდის დათესვა; გლეხობა ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ნაკლებათ მოიპოვება ვენახისათვის საჭირო სამკურნალო მასალა, ერთი დესიატინა ხორბალი ან სიმინდი უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს მას, ვინემ ვენახი.

სატყეო უწყებამ იმავე ყრილობაზე ხაზი გაუსვა იმ გარეობას, რომ ტყის რაიონებში, ამ უკანასკნელი წლი-ნახევრის განმავლობაში, გლეხობამ გააფართოვა სათესი მიწის სივრცე ტყისა და სათიბის ხარჯზე, რაც აგრეთვე დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

ყრილობამ ეს გარემოება მიიჩნია დამღუპველად, როგორც ვენახებისათვის, ისე ტყისა და სათიბებისათვის, ვინაიდან ყველა მათგანი წარმოადგენს ძვირფას სიმდიდრეს თავისთავად; ყრილობამ საჭიროდ სცნო მათი მტკიცედ დაცვა; მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მომავალში მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის თვისებრივ მხარეს, რისთვისაც საჭიროა:

1. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში სათესლე მასალის მუდმივი ფონდი და გადიდებულ იქნეს იგი იმ რაოდენობამდე, რომელიც საჭირო იქნება რესპუბლიკაში სათესლე მასალის უქონლობის დროს, როგორც ეს მოხდა გასულ სასოფლო-სამეურნეო წელიწადში.

2. მაზრებში, აგრონომიული დახმარების საწყობებში, უნდა ვიქონიოთ: ა) გადასარჩევი მანქანა არა მარტო მთავრობის მიერ სესხად გაცემული მასალისა, არამედ თვით გლეხობის სათესლე ხორბლეულის გასაწმენდათ მიწისა და ნაგავისაგან და ბ) საჭირო სამკურნალო მასალები (ფორმალინი, შაბიამანი და სხვ.) სათესლე მასალის განსაკურნავად სოკოს პარაზიტებისა და სხვა მავნებელთაგან.

3. ამგვარი ზომებით და აგრეთვე გადარჩევით და გადაცვლით, უნდა შევეცადოთ სათესლე მასალის ფონდი ავსწიოთ უმაღლეს სათესლე ხარისხამდე და მხოლოდ ამ სახით უნდა დაურიგოთ იგი გაჭირვებულ გლეხობას.

4. სამაზრო რაიონებში უნდა მოეწყოს გასაქირავებელი პუნქტები, სადაც იქნება საკმარისი რაოდენობა გუთანისა, ფარცხისა დასათესი მანქანისა, ფიწლისა, მოსამკელი და სათიბავი მანქანისა; ეს იარაღები უნდა მიეცეს გლეხობას ფართო სარგებლობისათვის, პირველ ხანებში სპეციალისტების ხელმძღვანელობის ქვეშ.

5. ასეთ პუნქტებთან საჭიროა მოეწყოს სარემონტო სახელოსნოები ზემოხსენებულ—როგორც მთავრობისა ისე თვით გლეხობის—სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების რემონტისათვის.

6. ყველა ამასთან საჭიროა მოეწყოს საცდელ-საჩვენებელი მინდვრები, რომელნიც დამუშავებულ უნდა იქნენ გამოცდილ სპეციალისტების ხელმძღვანელობის ქვეშ, უკანასკნელი სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის იარაღებითა და მანქანებით და რომელზედაც, ადგილობრივი გლეხობის თვალწინ უნდა იქნეს წარმოებული, მოსავლიანობისა და ღირებულების მიხედვით ამ რაიონისათვის ყველაზე უფრო შესაფერი, ხორბლეულის კულტურა.

უდავოა, რომ ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხორციელებით, თესლის შეცვლითი სისტემის შემოღებით, ხორბლეულის მოსავალი თვალსაჩინოდ გაიზრდება და საქართველოსაც აღარ დასჭირდება საზღვარ-გარეთიდან პურის შემოტანა. როდესაც ჩვენ განკარგულებაშია 600,000 დესიატინა სათესი ადგილი, საკმარისია ხორბლეულის მოსავლიანობა გავადიდოთ 6—10 პროცენტამდე და მიზანიც სავსებით მიღწეული იქნება.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი უკვე შეუდგა სათესლე მასალის ნამდვილი ფონდის დაარსებას, რომლის მთავარი საფუძველიც იქნება მთავრობის მიერ სესხად გაცემული სათესლე მასალა, 407.000 ფუთის რაოდენობისა, რომელიც სესხად დაურიგდა გლეხობას 1921—1922 წლებში.

მაგრამ ყველა სხვა დანარჩენ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა დიდი თანხები, რომელიც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს ამ ჟამად, სამწუხაროდ, არ მოეპოვება. ამაში მას აუცილებლად უნდა დაეხმარონ ან შინაგანი სესხით, როგორც ეს მოხდა რუსეთში, ანდა მთავრობის სხვაგვარი ხასიათის სუფსიდიით, აზერბეიჯანის რესპუბლიკის მაგალითის მსგავსად.

ამ საქმეში დაყოვნება შეუძლებელია. საერთო ძალებით უნდა შევეცადოთ სასოფლო-სამეურნეო ფრონტის პოზიციების ყოველმხრივ გამაგრებას.

ვლ. ჟვეცი.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

კომუნისტები ესსენში.

მოსკოვი. 24 თებ. ბურჟუაზიულ გაზეთების, ესსენის კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ ადგილობრივი კომუნისტები ფრანგების მიერ პოლიციის განიარაღების შემდეგ შეუდგენ თავდაცვის სამხედრო კომუნისტურ რაზმების შედგენას. ესსენის სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს კომუნისტურ რაზმებთან შეერთებაზე. ესსენის ბურჟუაზია დაჟინებით მოითხოვს ოფიციალურ პოლიციურ თავდაცვის დატოვებას.

გადამწყვეტი ზომები რურში.

მოსკოვი. 24 თებ. რურში ორთავე მხარეები შეუდგენ გადამწყვეტ ზომების გამოყენებას. ფრანგები და ბელგიელები განაგრძობენ რკინის გზის ხაზების მილიტარიზაციას. გერმანიის გზათა მინისტრმა უბრძანა დაკავებულ ოლქების რკინის გზის სამმართველოს შესწყვიტოს გაზის, წყალის და ელექტრონის ენერგიის მიწოდება მილიტარიზაცია ქმნილ დაწესებულებებისათვის.

ინგლისის ზონაში

პარიზი. 24 თებერვ. ინგლისის საოკუპაციო ზონაში დიურენ-დიუსელდორფის რკინის გზის ხაზის ექსპლოატაცია დაიწყო ნახშირის გაზიდვით.

საგაფიცვო ფონდის ხელში ჩაგდება

პარიზი. 24 თებერვ. დიუსბურგში საოკუპაციო ხელისუფლებმა ხელში ჩაიგდეს ერთი მილ. მარკა, რომელიც გადადებული იყო გაფიცულთა დასახმარებლად.

ახალი განკარგულება გადასახლების შესახებ

ბერლინი. 24 თებერ. ესსენიდან იტყობინებიან დეკრეტის ახალ განკარგულების შესახებ, რომლის თანახმად გერმანელები გადასახლებულნი იქნებიან არა ნაკლებ 15 წლით.

ოკუპანტების ძალადობა

ბერლინი. 24 თებერვ. გერმანიის დაწესებულებების ოფიციალური ცნობებით, დაკავებულ ოლქებში დაპატიმრებულია 270 კაცამდე, გადასახლებულია 492, 16 მოხელე გამორიცხულია სამსახურიდან, 13 კაცი დაჭრილია დი 9 დახვრეტილი. მოკლულებს შორის არიან ბავშვები. ამას გარდა ასამდე კაცი დაპატიმრებულია გვარების ალუნიშნავად.

ფრანგები რურის რკინის გზებზე.

ბერლინი. 24 თებერვალი. პარიზიდან მიღებულ ცნობებით 23 თებერვლიდან წესდება დაკავებულ ოლქების ყველა რკინის გზებზე საფრანგეთის სამოქალაქო მმართველობა.

ყაჩაღობა.

ბერლინი. 24 თებერვ. დესბურში მთავარ სადგურზე ფრანგებმა გაიტანეს რკინის გზის სალაროდან 100 მილ. მარკა.

საბაჟოს მოხელეების დათხოვა.

პარიზი. 24 თებერვ. დაკავებულ ოლქში დაიწყო საბაჟოში გერმანელ მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვა, მათ ადგილებს იკავებენ ფრანგები და ბელგიელები.

ფრანგების ახალი ძალები.

ბერლინი. 24 თებერვ. 22 თებერვალს ბოხუმში შევიდენ ახალი სამხედრო ძალები. ჯარებმა დაიკავეს სასამართლოს შენობა. შილლერის მოედანზე მოხდა შეტაკება ფრანგებს და მცხოვრებლებს შორის, რომლის დროს მოკლულია ერთი მუშა და მძიმედ დაჭრილია რამოდენიმე კაცი. საღამოს ბოხუმში გამოაცხადეს საალყო წესები.

უკმაყოფილება ფერადი ჯარებით:

ბერლინი. 24 თებერვ. ფერადი ჯარების დაბინავება კუპფედრეებში და ველბერტში იწვევს დიდ უკმაყოფილებას მცხოვრებლებს შორის.

რურის გარშემო

ეს ისედაც ცნობილია.

ბერლინი. 24 თებ. ბანკეტზე ამერიკულ ელჩის თანდასწრებით, ბონარ-ლოუმ განაცხადა, რომ მთელ ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა, თუ ამერიკა ისეთსავე როლს ითამაშებდა მსოფლიოს აღდგენის საქმეში, როგორიც მან ომის დროს ითამაშა. ბონარ-ლოუმ გამოსთქვა რწმენა, რომ ამერიკა, თუ საჭირო იქნება გადგება განზე.

სიტყვა სხვაა საქმე სხვაა.

ლონდონი. 24 თებ. გენერალმა ლეგუტმა განუცხადა გაზ. „დეილი მეილის“ კორესპონდენტს, რომ მისი აზრით რურის მაგნატები იძულებული იქნებიან თავი გაანებონ ოკუპაციისათვის მუდმივ წინააღმდეგობის გაწევას. ამავე დროს დეგუტმა სთქვა, რომ საფრანგეთის ხელისუფლება მზადაა ხელი შეუწყოს საფრანგეთსა და გერმანიის შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. მაგრამ რურის და რეინლანდის ეკონომიური ბლოკადა სწორედ ამის საწინააღმდეგოს ლაპარაკობს ისევე, როგორც ის გარემოება, რომ გერმანიის საბაჟოების მოხელეთა 95 პროც. გადაყენებული არის ადგილიდან და შეცვლილია ფრანგებით და ბელგიელებით.

ევროპა საფრთხეშია.

ბერლინი, 24 თებ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ერთა ლიგის ინგლისის კომისიისადმი მოხსენებაში ლორდ სესილმა განაცხადა, რომ ფრანგების მიერ რურის ოლქის ძალადობითი ოკუპაცია წარმოადგენს უშუალო საფრთხეს მთელი ევროპის მშვიდობიანობისათვის. ამ მოხსენების გამო ერთა ლიგის ინგლისის კომიტეტმა დაადგინა გამოსთქვას სურვილი, რათა ყველა საერთაშორისო საკითხები და კერძოთ სარეპარაციო საკითხი რაც შეიძლება დაჩქარებით იქნეს განხილული ერთა ლიგის ან მისი საბჭოს მიერ. ეს საკითხი უნდა განხილულ იქნეს გერმანიის და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყოველგვარ დაყოვნებას ამ დადგენილების შესრულებაში, კომისიის აზრით, შეუძლია შექმნას მძიმე პირობები ევროპისათვის.

საპროტესტო მიტინგი.

ბერლინი, 24 თებ. ნიუ-იორკში გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოტანილია რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ შეერთებული შტატების ჩარევას ევროპის საქმეებში. მიტინგზე მონაწილეობას ღებულობდა დაახლოვებით 15,000 კაცი.

გერმანიის ამბები

გერმანიის რეიხსტაგში.

მოსკოვი. 24 თებერვ. რეიხსტაგის ეკონომიური კომისია მოითხოვს, რათა პირველი მოთხოვნილების საგნებით სპეკულიაციისათვის დამნაშავე დაისაჯოს 5—15 წლამდე ციხეში დაპატიმრებით. მემარჯვენეთა წინადადება სიკვდილით დასჯის შესახებ უარყოფილია.

დახმარება გადასახლებულებს.

პარიზი. 24 თებერვ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რეიხსტაგმა მიიღო გადაწყვეტილება მოათავსოს დაკავებულ ოლქიდან გადასახლებული გერმანელები უცხოელების მიერ დაკავებულ შენობებში.

გერმანიის მუშები იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბერლინი. 24 თებერვ. გერმანიის სამთო-მადნო მუშების ორგანიზაციამ მიმართა მთელი მსოფლიოს მუშებს, და მოუწოდებს მათ გაუწიონ დახმარება იმპერიალისტების ძალადობასა და რურის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის მუშები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ბოლომდის აწარმოვონ ბრძოლა მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მანიფესტაცია ჰამბურგში.

მოსკოვი. 24 თებერვ. საერთო—გერმანიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კონფერენციასთან დაკავშირებით. ჰამბურგში იმართება მასიური მანიფესტაციები. რუსეთის, ნორვეგიის და იტალიის ახალგაზრდობის კავშირების წარმომადგენლებს შეხვდენ ხანგრძლივი ტაშით.

მდგომარეობა საფრანგეთში

დუბერგის არჩევა.

მოსკოვი. 24 თებერვალი. საფრანგეთის სენატის პრეზიდენტის ლეონ ბურჟუას ნაცვლად, არჩეულია დუბერგი. ეს ფაქტი მემარცხენე ბლოკის დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს.

გაფიცვა გრძელდება.

ბერლინი. 24 თებერვალი. გაფიცვები საფრანგეთში ბრძელდება. ამის გამო ყოველ დღიურად ეცემა ნახშირის ამოღება. ნახშირის არსებული მარაგი საკმაოა მხოლოდ გაზის წარმოებისათვის.

მაგარი მუშტის პოლიტიკა.

პარიზი. 24 თებ. რესპუბლიკის კომერციულ კომიტეტის კრებაზე, საფრასგეთის პრეზიდენტმა მილიერანმა განაცხადა, რომ საფრანგეთს არა აქვს განზრახვა დაიპყროს გერმანია, მაგრამ თუ გერმანიას იმედი აქვს საფრანგეთის სისუსტის, იგი სცდება. საფრანგეთი, როგორც ომში, ისე ზავში დაჟინებით დაიცავს თავის პოლიტიკას იმ ხნის განმავლობაში, რამდენიც საჭირო იქნება მისთვის.

მემაღაროეთა გაფიცვების გამო.

მოსკოვი. 34 თებ. საფრანგეთში დამთავრდა მემაღაროეთა გაფიცვა რომელმაც დაამტკიცა შრომის უნიტარულ კონფედერაციის დიდი ავტორიტეტი. მიუხედავათ იმისა, რომ ნახშირის მაღაროების მეპატრონეები დათმობაზე წავიდენ, მუშებმა არ შესწყვიტეს გაფიცვა და ელოდენ კონფედერაციის გადაწყვეტილებას, ამასთანავე გაფიცულთა რიცხვი მნიშვნელოვანად გაიზარდა, უკანასკნელ ხანებში გაფიცული იყო 125.000 მუშა.

კაშენის პროცესის გამო.

მოსკოვი. 24 თებერ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გამართულ კამათის დროს კაშენის განთავისუფლების შესახებ, კომუნისტმა მორელმა განაცხადა, რომ კაშენისათვის წარდგენილი ბრალდება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ გამომძიებელს არ შეუძლია მისი გამოყენება.

რადიკალი გეზიც მოითხოვდა კაშენის განთავისუფლებას.

წინადადება განთავისუფლების შესახებ უარყოფილ იქნა 160 ხმის უმრავლესობით.

საფრანგეთი და ქემალისტები.

მოსკოვი. 24 თებერვ. გაზ. „იენიადანი“ იტყობინება სირიაში მყოფ საფრანგეთის ხელისუფალთა ქემალისტებისადმი მტრულ განწყობილების შესახებ. იმ პირებს წინააღმდეგ, რომელნიც შემჩნეული არიან ქემალისტებისადმი თანაგრძნობაში სასტიკ რეპრესიებს ხმარობენ.

ინგლისში

ერთიანი ფრონტი.

მოსკოვი. 24 თებ. ინგლისის კომპარტიის ახალი ორგანო „მუშის ყოველკვირეული“, იტყობინება მასიურ მიტინგების შესახებ, რომელიც იმართება ინგლისის მრავალ ქალაქებში. ამ მიტინგებზე იღებენ რეზოლიუციას, რომელიც მოითხოვს ერთიან პროლეტარულ ფრონტის შექმნას კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. კომპარტიის პოპულიარობა მატულობს.

ინგლისი და საფრანგეთი რეინის ოლქში.

მოსკოვი. 24 თებ. ქვედა პალატაში წარდგენილ შეკითხვის განხილვის დროს ბონარ ლოუმ დაადასტურა, რომ ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობების შორის მოხდა შეთანხმება რეინის ოლქი საოკუპაციო ზონის საზღვრების შესწორების შესახებ. ბრიტანეთის მთავრობამ დაუთმო საფრანგეთს ინგლისელების მიერ დაკავებულ ტერიტორიის ნაწილი, რომელზედაც გადის ქერმენის რკინის გზის ხაზი.

მაკდონალდი და უმუშევრები.

ლონდონი. 24 თებერვ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ამ ჟამად ინგლისში უმუშევართა საერთო რიცხვი უდრის დაახლოვებით 1,163,000 კაცს. ბრიტანეთის კაპიტალისტების და მესაკუთრეების საზოგადოების კრებაზე მიწვეულმა „სოციალისტმა“ რამზეი მაკდონალდმა უმუშევრობის საკითხის შესახებ განაცხადა, რომ მუშათა პარტია არ მოითხოვს არავითარ ნაბიჯების გადადგმას საზოგადოებრივი აზრის დასტურის და უმრავლესობის ვოტუმის გარეშე.

ბელგია

მემაღაროების გაფიცვა.

პარიზი. 24 თებ. მემაღაროების გაფიცვა ბელგიაში გავრცელდა შარლელუას რაიონზე.

გაფიცვა ფართოვდება.

მოსკოვი. 24 თებერვალი. მიუხედავათ ყვითელ პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგობისა, ბელგიაში სამთამადნო მუშების გაფიცვა ფართოვდება. მუშების კრებებმა უარყვეს მწარმოებელთა წინადადება 5 პროც. მომატების შესახებ და დაადგინეს მოითხოვონ 14 პროც. მომატება.

კანადა

მოსკოვი. 24 თებ. კანადის პრემიერ-მინისტრმა კინგმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის იმპერიის მთლიანობა შეიძლება იქნას შენარჩუნებული მხოლოდ მაშინ, როდესაც იმპერიის თვითეულ ნაწილს მიეცემა სრული ავტონომია. ამ შემთხვევაში საკითხს—კანადის ომში მონაწილეობის მიღების შესახებ გადასწყვეტავს მხოლოდ პარლამენტი. ინგლისის მთავრობის შეკითხვაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერს კანადა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დროს, კანადის მთავრობამ უპასუხა, რომ კანადა არ მიიღებს მონაწილეობას ომში პარლამენტის ნებადაურთველად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტერი შეიჭრება იმპერიის საზღვრებში.

ამერიკა და რუსეთი

მოსკოვი. 23 თებერვ. სენატორი დჟემს რიტი გამოვიდა ამერიკის სენატში სიტყვით, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვდა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დაუყონებლივ აღდგენას, მან გამოააშკარავა თვალთმაქცობა ამერიკის მემარჯვენე მმართველი წრეების, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ რუსეთთან ვაჭრობის განახლების იმ მოსაზრებით, რომ მათ დაუშვებლად მიაჩნიათ საქმე დაიჭირონ „ბარბაროს-ბოლშევიკებთან“,

როგორც მოხერხებულად აღნიშნა რიტმა, ტერორისტული რეჟიმი, რომელიც დაამყარეს ბელგიელებმა კონგოში, ხელს არ უშლის ამერიკის კაპიტალს დაიჭიროს მჭიდრო კავშირი ბელგიელებთან.

პოლონეთი და ლიტვა

ერთა ლიგის მიმართვა.

პარიზი. 24 თებ. ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარემ ვივიანმა, მიმართა პოლონეთს და ლიტვას წინადადებით, რათა თავი შეიკავონ ყოველგვარ მტრულ აქტებისაგან და დაიცვან ერთა ლიგის მიერ დაკანონებული წესები.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია და რუსეთი

მოსკოვი. 24 თებერ. საპარლამენტო ფრაქციამ „ნაკუსინ კურაბუ“ შეიტანა იაპონიის პარლამენტში წინადადება საბჭოთა მთავრობის დაუყონებლივ ცნობის შესახებ.

იაპონიის გაზეთი „კოკუმინი“ იტყობინება, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა იცნონ იოფფე დიპლომატიურ წარმომადგენლად, მიანიჭა რა მას უფლება ისარგებლოს შიფრით.

სხვადასხვა ამბები

მემელი.

რომი, 24 თებერვალი. „ტაიმს“-ის ცნობის მიხედვით, ლიტვის მთავრობამ განაცხადა, რომ მიუღებელია ელჩთა კონფერენციის დადგენილება მემელის შესახებ. ლიტვის მთავრობა უარს ამბობს მემელის თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადებაზე.

მდგომარეობა ვენაში.

მოსკოვი. 24 თებ. მუშებზე რეაქციონერების თავდასხმის გამო ვენის პოლიციამ კონფისკაცია უყო კომპარტიის ფურცლებს. მონარხისტების მიერ მოწყობილ მუშათა მკვლელობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით აღმოჩენილ იქნა რეაქციონური პარტიების საერთო მებრძოლი ორგანიზაცია.

პოლონეთ-ლიტვას დავა.

მოსკოვი. 24 თებ. ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა შორის სწარმოებს მოლაპარაკება პოლონეთ-ლიტვას შორის ატახილ დავაში ჩარევის შესახებ. ვილნოს საკითხი განზრახულია გადაეცეს ერთა ლიგას.

ლატვია და მოკავშირეები.

მოსკოვი. 24 თებერვალი. ინგლისის მთავრობამ მოითხოვა ლატვიისაგან ანაზღაურება ხარჯების, რომელიც გაწეული იყო კოლჩაკის დროს ციმბირში ლატვიის ჯარების შესანახად 134,500 გირ. სტერლინგის რაოდენობით. ასეთივე მოთხოვნილება წარმოადგინა საფრანგეთმაც.

სპარსეთი.

მოსკოვი-24 თებერვ. სპარსეთის ახალმა კაბინეტმა სასწრაფო განკარგულება გასცა მოსკოვში მყოფ სპარსეთის დელეგაციის წარმომადგენლისამდმი, რათა განაახლოს შეწყვეტილი მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამავე დროს, კაბინეტმა გააუქმა წინანდელი კაბინეტის მიერ, ინგლისელებთან ერთად, დაწყებული საბაჟო განაკვეთები რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე.

ყველა დემონსტრაციაზე.

ამხ. მუშებო!

კვირას ა/წ, 25 თებერვალს სრულდება 2 წელი [illegible] ემხო მენშევიკების, მუშათა კლასის მოღალატეების ძალაუფლება. 2 წ წადია რაც საქართველოში ნაციონალურ დროშის ნაცვლად, ფრი კომუნიზმის წითელი დროშა, რომელიც შეღებილია მუშათა სისხლით, ლის და გამარჯვების დროშა.

25 თებერვალს ყველა მუშები წითელ-არმიელებთან ერთად მწ რიგებათ გამოვლიან დემონსტრაციაზე დაანახვებენ ქვეყანას თავის ძ დი ძლიერებას.

ჩვენი დიადი წითელი არმია ამ დღეს დღესასწაულობს თავის 5 იუბილეს ყველა ფრონტებზე რეაქციის ყველა შავბნელი ძალების წი დეგ დაუღალავი ბრძოლის, დაჭიმულ ზეადამიანურ ბრძოლის 5 წლ წლის განმავლობაში წითელი არმია ძლევამოსილებით იგერიებდა კონ რევოლიუციის გაშმაგებულ იერიშებს. 5 წლის განმავლობაში წითელი არ იცავდა რა რევოლიუციის მონაპოვრებს, ერთგულ დარაჯათ დგას პრო ტარული რევოლიუციის სადარაჯოზე იცავს რა თავის სისხლით მოპოვ თავისუფლებას,

დღეს ორივე დღესასწაულის დღეს დეე ყველა მუშებმა მიიღო ტიური მონაწილეობა ჩვენი პროლეტარული ძლიერების დათვალიერე დეე, ყველა მუშები, რომელთათვისაც წმინდა რევოლიუციონური სო ლიზმის ალთქმანი, **გამოცხადდენ ამ დათვალიერებაზე.**

არც ერთი კაცი არ უნდა დარჩეს შინ!

ყველა დემონსტრაციაზე კომუნიზმის წითელი დროშების ქვეშ! დროშების,—რომლისათვისაც ღირს სიცოცხლე და თავის-დადება

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატს, რომელმაც დაამხო ცემლების უღელი!

ძირს მუშათა კლასის ყველა მოღალატენი!

გაუმარჯოს დიად წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ პროლეტარულ რევოლიუციას!

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.
საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.
მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო.

მემამულეების მიწები გლეხებ

ტფილისის მუშები სოფლად

(თელავის მაზრა)

13 თებერვალს ამხ. მასხულია და ამხ. ქორიძე გაემგზავრა ყვარელის რაიონში მიწების რეფორმის საჩქაროდ გატარების მოსაგვარებლად. რაიონის ყველა თემები შემოვლილი იყო მათ მიერ: თვითეულ თემში იქნა მოწვეული ყველა სოფლების მცხოვრებთა საერთო კრება, სადაც ამხ. მასხულიასა და ამხ. ს. ქორიძეს მიერ იყო გაკეთებული ვრცელი შინაარსიანი მოხსენება. სოფლების ულარიბესი და საშუალო გლეხობა დიდის სიხარულით ეგებებოდენ მიწის ჩამორთმევა-განაწილების საკითხებს. ყველა კრებებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, სადაც უაღრესად იწონებდნენ და სიხარულით ეგებებოდნენ მთავრობის ასეთ ნაბიჯებს და ფიცსა სდებდნენ, რომ მუდამ და ყოველთვის იქნებიან მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცებისათვის თავდადებულნი.

ამ კრებაზე აგრეთვე ირჩეოდ ხის მიერ სათემო და სასოფლ წის ჩამომრთმევ განმანაწილ კომიტეტები, რომელსაც ეძლე ნათლად განმარტებული ინს ციები.

უნდა ითქვას, რომ მთელ რ ში მუშაობა ახლო მომავალ დათავდება. აგრეთვე ამხ. ქავ შვილის და ჭოლოკავას მიერ რებულ იქნა ასეთივე მუშაობ თოს და ფშავის რაიონში.

19 თებერვალს ამხ. მასხულ ხმარების მიზნით გაემგზავრა თის რაიონში.

ჩამორთმეულია და დარიგ მემამულეების მიწები შემდეგ ნებში:

ყვარელის 629 დესეტინა. ლის 578 დესეტინა. იყალთო დესეტინა. სულ 1.531 დესეტ

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სენატორ ჯონსონის გამგზავრება რუსეთში.

მოსკოვი. 24 თებ. სენატორ ჯონსონმა, რომელიც ეკუთვნის ამერიკის სენატის პროგრესიულ ჯგუ ნაცხადა, რომ მას ისე როგორ რას სურვილი აქვს ინახულო და ფიქრობს გაემგზავროს მარტის პირველ რიცხვებში.

წითელი არმიის ხუთი წლის თა

მოსკოვი. 24 თებერვ. 22 თებერვალს კავშირთა სახლში გაიმართა დასავლეთის და ვრანგელის ფრონტების მონაწილეთა მოგონების საღამო. საბლინმა დაასურათა გმირული ბრძოლა ყირიმის ფრონტზე და აღნიშნა ის გაკვეთილები, რომლებიც გამომდინარეობდენ ამ ლაშქრობიდან.

მისალმებით გამოვიდა ჩეხო ვაკიის პროლეტარიატის წარ გენელი, კომინტერნის აღმ წევრი ნეირატი. სმილგამ ცალ ზოდებში აღნიშნა, თუ როგო დებოდა და ძლიერდებოდა არმია.

— მოსკოვის გაზეთების 23 თებერვლიდან მიძღვნილ

შრომის ნაყოფიერება საქართველოში

საქართველოში წმინდა ინდუსტრიალური წარმოებანი, მასიური წარმოების ხასიათისა, სრულებით არ მოიპოვება. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი სურვილისა წარმოგვედგინა დასრულებული ნუსხა, ამის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა და ამის გამო ჩვენი ანგარიში შემოვფარგლეთ მხოლოდ მრეწველობის თვითეული დარგის ცალკე განხილვით. მიუხედავად ამისა, ანგარიში მიზნად ისახავს იმ მასალების მიხედვით, რომელიც მის განკარგულებაშია (სხვა უფრო სრული მასალები არ მოიპოვება და შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საერთოდ ასეთი მასალები არც არსებობს), გამოიკვლიოს შრომის ინტენსივობა იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო, ერთის მხრით, შრომის სასყიდელის ფორმა და, მეორეს მხრით, სამუშაო ხელფასის სიდიდე.

სამთო ინდუსტრია.

საქართველოს სამთო მრეწველობის საფუძველს, მიუხედავათ, საერთოდ, განუზომელი სამთო სიმდიდრის არსებობისა, წარმოადგენს შავი ქვის წარმოება და შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს—ქვანახშირს. რევოლიუციისა და ევროპის ომის წლებში არ ყოფილა წარმოებული შავი ქვის მადნების სისტემატიური ექსპლოატაცია და ამიტომ შეუძლებელი ხდება შეკრება იმ ცნობებისა, რომელიც ეხება ხსენებული პერიოდის შრომის ინტენსივობას სამთო მრეწველობის ამ დარგში. მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ როგორც ეს სჩანს, სამთო მუშათა კავშირისა და შავიქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს შორის დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილი გამომუშავების ნორმათა დებულებიდან, ამ ჟამად შრომის ინტენსივობა სავსებით ეთანაბრება ომამდე არსებულ შრომის ნაყოფიერების ცნობებს, შეადგენს რა ამ რიგათ ყველა 100 პროც. ომამდე არსებულ ნორმალურ ნაყოფიერებისას. ჯერ-ჯერობით კიდევ არა გვაქვს კონკრეტიული ფაქტიური ცნობები სამთო მუშათა კავშირის მიერ თავის თავზე მიღებულ ნორმების შესრულებათა ინტენსივობის შესახებ, ვინაიდან ეს მუშაობა ჯერ კიდევ განვითარების სტადიაში იმყოფება, მაგრამ ჩვენ უეჭველად ბრწყინვალე პერსპექტივების წინაშე ვდგევართ, თუ კი ამ უახლოეს ხანაში არ მოხდა რაიმე გართულება საგარეო ხასიათისა. რაც შეეხება შავიქვის დატვირთვის საქმეს, ამ მხრივ, განსაკუთრებით ქ. ფოთში, (გემებზე დატვირთვა) ინტენსივობამ **გაუსწრო ომამდე არსებულ შრომის ნაყოფიერების ნორმას არა ნაკლებ 20—30 პროც.**

ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის ამოღება კი, მიუხედავათ კავშირის ორგანოების არაჩვეულებრივი მეცადინეობისა, დღევანდლამდის შედარებით დაბალ დონეზე დგას. ქვემოდ მოყვანილი ნუსხა გვიჩვენებს, რომ შრომის ინტენსივობა, მცირეოდენი გამონაკლისით რჩება უცვლელად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღევანდლამდე.

შრომის ნაყოფიერება 1921 და 1922 წლებში:

	იანვ.	თებერ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტ.	სექტემბ.	ოქტომბ.	ნოემბერ	დეკემბ.
1921 წ. . . .	100	94	77	52	64	68	52	70	44	52	43	42
1922 წ. . . .	53	56	50	46	61	53	57	57	—	—	—	—

შენიშვნა: 100 პროც. აღებულია 1921 წლ. იანვრის თვის ნაყოფიერება.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ქვანახშირის ამოღება—წარმოადგენს შრომის ეროად-ერთ დარგს, სადაც შეუძლებელი გახდა შრომის ინტენსივობის გადიდება, მაგრამ ამას აქვს თავისი მიზეზები, რომელიც უნდა ვეძიოთ განრიგების სფეროს გარეშე. ძირითად მიზეზს წარმოადგენს დიდი ხნის განმავლობაში ბაზარზე ქვანახშირის რეალიზაციის შეუძლებლობა, რასაც შედეგათ მოჰყვა ის გარემოება, რომ სახელმწიფოს კისერზე დააწვა მუშების მრავალ-მ ლიონიანი ვალი. ცხადია, უსაფუძვლო იქნებოდა იმედი შრომის ნაყოფიერების გადიდებისა მაშინ, როცა მუშას რამოდენიმე თვის განმავლობაში არ ეძლეოდა კუთვნილი ჯამაგირი. შრომის ინტენსიფიკაციაზე ძლიერი გავლენა ქონდა აგრეთვე დამხმარე ტეხნიკური მასალის ნაკლებობას, ხოლო ხშირად მის სავსებით უქონლობას. და, დასასრულ, დიდი როლი ამ მხრით ითამაშა იმ გადასვლამ დაუზოგველი ექსპლოატაციიდან რაციონალურ ტეხნიკურ ექსპლოატაციაზე, რომელიც მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დროს; ამ ჟამად მას ჩვეულებრივად წინ უძღვის დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რასაც, რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა შრომის ნაყოფიერების შედეგებზე, რაც კონკრეტიულად იხატება ამოღების საზომ ერთეულში. უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად, ტყიბულის ქვანახშირით დაინტერესდა უკრაინის ნავთსადგურების სამმართველო და, აგრეთვე, ამიერ-კავკასიის რამოდენიმე დაწესებულება და წარმოება. ამ რიგათ უნდა ვიანგარიშოთ, რომ ამ უახლოეს ხანაში ნახშირის გასაღება უზრუნველყოფილი იქნება; ხოლო მეორეს მხრით, კოლექტიური ხელშეკრულების საშუალებით შემოღებული, შედარებით უფრო დიდი, სასყიდელი შრომისა, უეჭველად იძლევა გარანტიას შრომის ნაყოფიერების საერთო გადიდებისას. დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ შრომის დიდი ნაყოფიერება 1921 წლის იანვარსა და თებერვალში, გამოწვეული იყო, როგორც ვიცით, მომენტის განსაკუთრებული პირობებით, წმინდა ხელოვნური საშუალებით; ამის მიზეზი იყო ყოფილი მთავრობის მიერ, სათბობი მასალის ნაკლებობის გამო, სამთო საქმის ყოველგვარი კანონების გარეშე, მუშაობის დაუზოგველად წარმოების დადასტურება, რაიც, რასაკვირველია, დამღუპველი იყო თვით წარმოებისათვის, ვინაიდან ტეხნიკურის მხრით აბსოლიუტურად დაუშვებელ პირობებში მუშაობის წარმოებას, უნდა გამოეწვია აუცილებელი კატასტროფა, როგორც თვით მაღაროებისა, ისე მუშათა ფიზიკური არსებობისა და ამას კი დამშვიდებით ვერ შეურიგდებოდა საბჭოთა ხელისუფლება. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას ნავთის მრეწველობაში, იმის გამო, რომ მრეწველობის ამ დარგში სწარმოებს მხოლოდ გამოკვლევითი ხასიათის მუშაობა, სათანადო მასალების უქონლობის გამო, შეუძლებელი ხდება შრომის ინტენსიფიკაციის ხარისხის გამოკვლევა.

ლითონის მრეწველობა.

საქართველოში ლითონის მრეწველობა ძალიან სუსტად არის განვითარებული და უმთავრესად ემსახურება, არსენალის გარდა (რომლის ნაყოფიერების შესახებ ცნობები არ მოგვეპოება),ქალაქის მიმდინარე საჭიროებათა დაკმაყოფილებას. იგი იყოფა ორ ჯგუფად: 1) ქარხნები, რომელნიც ამზადებენ სხვა წარმოებათა საწარმოო იარაღების ყოველგვარ ნაწილებს და 2) სახელოსნოები, რომლებიც ამზადებენ სასოფლო-მეურნეობაში გამოსადეგ ახალ მანქანებს და ავტო-სახელოსნოები, სადაც უმთავრესად სწარმოებს ავტომობილების რემონტი. პირველი ჯგუფისთვის, მუშაობის განსაკუთრებული სხვადასხვაობის გამო, ძალიან ძნელი ხდება ნაკეთობის გამოშვების ერთეულის განსაზღვრა. შრომის ინტენსივობა განისაზღვრება, ერთის მხრით, შეკვეთათა შესრულებისათვის საჭირო დროის სისწრაფესთან შედარებით და მეორეს მხრით, მუშაობისათვის დროის განსაზღვრით ნაჭრობითი შეფასების დროს; ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისეთი სამუშაოსათვის, რომელსაც პირველად ასრულებს ქარხანა, გამოსავალ წერტილად ითვლება თეორეტიული გამოანგარიშება; ხოლო განმეორებითი შეკვეთებისათვის კი წარსულის გამოცდილება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ შეფასებათა განსაზღვრის სიძნელეს აორკეცებს ის გარემოება, რომ არა გვაქვს ომამდე არსებული პერიოდის სათანადო ცნობები, ვინაიდან წარმოებათ, თავის ყოფილ მესაკუთრეთაგან, გარდა მანქანებისა, შენობისა და ზოგიერთი ნედლი მასალისა არავითარი სტატისტიკური ცნობები არ დარჩენიათ. 1921 წლის ნამდვილი ცნობები, უმთავრესად, ნაყოფიერების სწორი ანგარიშიანობისა და აღნუსხვის მასალების უქონლობის გამო, არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა მაშინაც კი შრომის ნაყოფიერება დაფუძნებული იყო ნაჭრობითი შეფასების გამოანგარიშებაზე იმ გვარად, რომ შრომის ინტენსივობის სიდიდე პირდაპირ დამოკიდებული იყო სამუშაო ხელფასის სიდიოესთან და რამდენადაც ეს უკანასკნელი იძლეოდა მუშისათვის ნაკლებ რეალურ სარგებლიანობას, იმდენად თვით ინტენსივობაც ნორმალურზე უფრო დაბლა დგა. ქარხანათა ამ ჯგუფში ამ ჟამად არსებული ნაყოფიერება რომ არ გადავამეტოთ და დავემყაროთ იმ სამუშაო დროის ცნობებზე, რომელიც საჭიროა ნაკეთობის ერთი ცალის დამზადებისათვის, უნდა ჩაითვალოს ომამდე არსებულ ნაყოფიერებასთან გათანასწორებულად, ხოლო ზოგიერთ არა იშვიათ შემთხვევაში, ჩვენ ვხვდებით ომამდე არსებულ ნორმაზე გადამეტებასაც. მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, შრომის ინტენსივობის შესახებ არსებულ ცნობებიდან, ნაკეთობის ერთი განსაზღვრული საანგარიშო ერთეულის გამოყვანა სახალხო მეურნეობის უმაღლეს. საბჭოს ლითონის განყოფილების ცნობების მიხედვით, მაინც შესაძლებელი ხდება; ეს ცნობები, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ჩვენ მოგვყავს ქვემოდ და ისინი იძლევიან ერთგვარ სურათს შრომის ნაყოფიერების ინტენსივობისას.

შრომის ნაყოფიერება ლითონის მრეწველობაში 1922 წ.

ქარხნის სახელწოდება	იანვარი	თებერვ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტ.
საბჭოთა 1.	1	2,2	2,6	2,7	2,3	2,5	3,1	3,2
საბჭოთა 2.	1	1,6	2	1	2,2	2,2	2,1	1,4
საბჭოთა 3.	1	1,4	1	1,3	3,4	3	2	6,5
4 საქარაგო	—	—	—	—	—	—	—	—
—სატლო.	—	—	—	—	—	—	—	—
სახელოსნოები . . .	1	1,1	4,1	2,3	4,4	3,2	6,2	2,9

შენიშვნა: ერთეულად აღებულია შრომის ნაყოფიერება 1922 წლის იანვარში.

ხსენებულ ქარხნებში მუშაობის მრავალფეროვანების დახასიათებისა და შრომის განრიგების სირთულის გათვალისწინებისათვის, ქვევით ჩვენ მოვიყვანთ ქარხნების მიერ შესრულებულ ძირითად სამუშევართა სიას: „სულ ყველა ქარხნებისათვის ლითონის განყოფილებას ამა წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე 956 შეკვეთა ჰქონდა; აქედან დამზადებულ იქნა: 320 ცალი გუთანი და მთელი რიგი სასოფლო - სამეურნეო მანქანებისა, როგორც მაგალითად,—60 ცალი კულტივატორი, 18 ცალი ფიწალი, 100 ცალი სიმინდის საცეხველი, 50 ცალი ვერმორელი, 10 ცალი ყურძნის საწნეხი, 25 ცალი საწნახელი; გარდა ამისა დამზადებული იქნა 4 წისქვილი ფერმერისა, 3 ჰიდრავლიური წნეხი, 4 ზეთის სახდელი წნეხი და რამოდენიმე მათი საცეცხლური (**жаровня**) და „რუშალკები“. ამზადებენ 5 ბრუნაროს (**ту бина**) 20-დან 100 ძალამდის, როგორც კერძო ორგანიზაციებისათვის, ისე ჭათახის ქარხნისათვის; აქედან ორი უკვე დამთავრებულია და გამოშვებული ქარხნიდან. გარდა ამისა რემონტი გაუკეთეს მთელ რიგ ქარხნებსა და ელექტრონის სადგურებს, როგორც ტფილისსა, ისე პროვინციაში“. თვალსაჩინო ცვალებადობა თვიურად ნაკეთობის ერთეულების გამოშვებისა დამოკიდებულია კანტორის მიერ წარმოებულ აღნუსხვის სისტემაზე, შეკვეთათა მიღებისა და შესრულების საქმეში. ნამდვილად კი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ავხსნათ ხსენებული ცვალებადობა შრომის ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხის ამპლიტუდით. შრომის ინტენსივობას, როგორც გვიჩვენებს ნაჭრობითი სამუშაოს სააღრიცხვო უწყება, აქვს განსაზღვრული მუდმივობა და თუ კი არის რაიმე გადახვევა, მხოლოდ შრომის ინტენსივობის გადიდების სასარგებლოდ. მეორე ჯგუფში—ავტო-რემონტის ქარხნებში, ნაკეთობის საანგარიშო ერთეული უფრო მეტის სისწორით არის გამორკვეული. ავტო-მანქანას, რემონტის სისტემისა და ხასიათის მიხედვით, ქონდა განსაზღვრული რაოდენობა საათებისა, სახელდობრ:

დრო საჭირო რემონტისათვის—საბარგო მანქ.—კაპიტალ. რემონტი 2 ათასი საათი, ჩვეულებრ. რემონტი 1 ათასი. მიმდ. რემონტი 75 საათი.

დრო საჭირო რემონტისათვის სამგზავრო მანქ.—კაპიტალ. 1,800 საათი, ჩვეულებრ. 900 საათი, მიმდ. 75 ს.

დრო საჭირო რემონტისათვის ფორდის მანქ.—კაპიტალ. 1,300 საათი, ჩვეულებრ. 650 საათი, მიმდ. 75 ს.

როგორც ვიცით ასეთი ქარხნები მოეწყო ომის დროს სამხედრო ტრანსპორტის საჭიროებისათვის; ამიტომ აქ ამ ქარხნებში, ამა თუ იმ რემონტისათვის საჭირო ნუსხაში აღნიშნული საათების ნორმა არ არსებობდა და საათების ნორმა განისაზღვრებოდა რუსეთის თანაბარ ქარხნების მაგალითის მიხედვით, ომამდე არსებულ პერიოდთან შეთანაბრებით. აქვე თანდართულ ნუსხაში, ავტო-სახელოსნოების ნაყოფიერებაში, ერთის შეხედვით, თითქოს, მიმდინარე წელში 1921 წელთან შედარებით, არც არსებობს საგრძნობი განსხვავება შრომის ინტენსივობის ხარისხში. ნამდვილათ კი ეს განსხვავება ძალიან დიდია: პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ჟამად —აღარა გვაქვს სამარაგო ნაწილები, რომელთა რიცხვიც 1921 წელში საკმაო იყო და მეორეს მხრით—მიმდინარე წელში მუშებს უხდებათ ხელახლა დაამზადონ მანქანების დეტალები, მაშინ როდესაც, ეხლა, ისე წარსულ წელში, საათების ერთეული, ერთგვა ნისათვის, მისი რემონტის მიხედვით, რჩება უცვლელი.

ავტო-სახელოსნოების ნაყოფიერება 1921 წელში.

წარმოების სახელწოდება	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტ.	სექტემბ.	ოქტომბ.
ავტო-სახელოსნოები № 1. .	—	—	6	9,9	8,3	11	8,2
ავტო-სახელოსნოები № 3. .	—	—	6,5	5,4	5,6	6,9	6,6

ავტო-სახელოსნოების ნაყოფიერება 1922 წელში.

წარმოების სახელწოდება	იანვარი	თებერვ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ავტო-სახელოსნოები № 1 .	5,2	4,4	12	8,4	8	4,6
ავტო-სახელოსნოები № 3 .	3,6	2,6	7,7	7,4	9,6	4,8

შენიშვნა: რემონტის ერთეულად აღებულია კაპიტალური რემონტ ავტომობილისა 100 კაცზე

ამგვარათვე ძალიან ეცემა შრომის ინტენსივობა 1921 წელთან შედარებით იმის გამო, რომ არ არსებობდა, ერთის მხრით, მუშაობის განსაზღვრული ხასიათის სათანადო ასორტიმენტები რკინისა და ფოლადისა და მეორეს მხრით, იმიტომ რომ საგრძნობლად გაცვდა წარმოების იარაღები და ინსტრუმენტები. ყველა ეს პირობები, რასაკვირველია, აიძულებენ მომუშავეს, სამუშევარისათვის განსაზღვრულ საათების რაოდენობაში, დახარჯოს ბევრად უფრო მეტი ენერგია, ვინემ წარსულ წელში. მეორეს მხრით ეჭვს გარეშეა, რომ შრომის ინტენსივობას ისევე, როგორც პირველი ჯგუფის ქარხნებისათვის, ნამდვილათ უფრო მეტი მუდმივი ხასიათი აქვს, ვინემ ეს ნაჩვენებია ნუსხაში, ვინაიდან ავტო-მანქანების რემონტის გამკეთებელი ბრიგადები აბარებენ სამუშაოს არაპირდაპირ თვიური ანგარიშის მომენტისათვის,—არამედ რემონტის დამთავრების მიხედვით, რაიც, რასაკვირველია, იწვევს ცნობების ერთგვარ სიმრუდეს, რადგანაც ნაჭრობითი განწესის ანგარიშის გასასწორებელი უწყებები ნამდვილათ გვიჩვენებენ. მნიშვნელოვანი გადახრის გარეშე, შრომის ინტენსივობის თანაბარ მიმდინარეობას, ამ ინტენსივობის მომატების ტენდენციით. შეუძლებელი ხდება რკინის გზის სახელოსნოებში შრომის ნაყოფიერების ციფრებში გამოსახვა. მაგრამ, მაინც არსებობს ზოგიერთი ცნობები, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ შრომის ინტენსივობა, თრებით შეუზღუდველი ნა მუშაობის შემოღების შემდ ნათ გაიზარდა, რომ, მაინც ინც დიდი შეცდომის გარე ლება ჩავთვალოთ იგი ომამდე ბულ პერიოდის ინტენსივ გათანასწორებულად, რაიც პროვინციაში ლითონის მრეწ მისი ფარგლების სიმცირისა პუბლიკისათვის მისი უმნიშ გამო, იგი არ წარმოადგენს ღირებულებას, გარდა ქალ. ქარხნებისა, სადაც ნავთ მექანიკურმა სახელოსნოებმ როგორც სხვა დანარჩენმა მიუხედავათ მათი სიპატარა ძლეს განეხორციელებინათ ნაყოფიერების მაღალი ინტ თვით წარმოებათა საგრძნობ სავლიანობით. ქალ. ბათომ მის ინტენსივობის ხარისხ ქალ. ტფილისის თანაბარ ბათა ინტენსივობას.

თამბაქოს მრეწველ

საფაბრიკო წარმოება და პაპიროსებისა შეიძლ არის ერთად ერთი მრეწვე ქართველოში, რომელსაც დვილი ხასიათი სამრეწვე ტრიისა, როგორც თავის ისე თვით საქმის დაყენებ გარიშის წარმოება, როგო ტრესტის მუშაობის მ შესახებ, ისე შრომის ვობის აღნუსხვის მხრით

მიტინგი და სამოქალაქო პანაშვიდი ალექსანდრეს სახ. ბაღში

ქალ. თბილისის ყველა კუთხეებიდან წითელი დროშებით, ორკესტრებით და რევოლიუციონურ სიმღერებით ალექსანდრეს სახელობის ბაღში, სადაც 5 წლის წინეთ მენშევიკების მიერ დახვრეტილ იქნენ თბილისის მუშები, თავს იყრიან წარმოებათა მუშა-მოსამსახურეები სხვადასხვა დაწესებულებების მოსამსახურენი, პარტიული, პროფესიონალური ორგანიზაციები და მრავალი გარეშე ხალხი. არ გლოვობდა ამ დღეს თბილისის მუშები, სახეები მათ უცინოდათ. არც თვლიდნენ ამ დღეს გლოვის დღეთ, ვინაიდან მშრომელმა ხალხმა მიაღწია იმას, რასაც მსხვერპლად შეეწირენ განსვენებული ამხანაგები. მუშები მოსულან თავიანთ მოძმეთა საფლავზე, რათა საფლავში ჩასძახონ მათ, რომ მენშევიზმის მზე ჩაესვენა, რომ მენშევიკურ დემოკრატიულ სახელმწიფოს ნანგრევებზე ფრთებს შლის, მტკიცდება და ვითარდება მუშათა და გლეხთა ხელის-უფლება, პროლეტარიატის დიქტატურა.

ხუთ საათზე მიტინგი გახსნა ვრცელი სიტყვით ამხ. ივანოვ-კავკასკიმ. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიხა ცხაკაიამ.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

მე თუმცა არ ვყოფილვარ მონაწილე ცნობილ მიტინგისა 1918 წელში, მაგრამ მისი შედეგები მე ვიცოდი იმ დღესვე. მენშევიკებმა მოაწყვეს ჩამოშორება რევოლიუციისაგან. ეს იყო განვითარება იმ ჩამოშორების, რომელიც დაიწყო რუსეთში 17 წელში. ეს ჩამოშორება და რევოლიუციისადმი ღალატი გამოიხატა სხვა ფორმებში, რომ მოეწყვიტათ და სამხრეთ კავკასიაში მოემწყვდიათ და დაებანდებიათ საბჭოთა ხელისუფლება. მათ მიატოვეს და გახსნეს ფრონტი. მოუმზადებელი მასსები, რომლებშიც არ იყო ჯერ კიდევ ალმოფხვრილი ილიუზიები მით გამოიყენეს და გერმანიის, ინგლისის ჯარების და სხვათა დახმარებით შექმნეს სეიმი და მენშევიკური დამოუკიდებლობა, სანამ სახელოვანმა წითელმა არმიამ შური არ იძია ისტორიულ მტრებზე—ბაქოს კომუნარების მკვლელებზე და არ გაანთავისუფლა მათგან საქართველო და ამიერ-კავკასია. ეს იყო მშვიდობიანი მიტინგი, სადაც დახვრეტილ იქნენ უპარტიოები. ეს დღე უნდა იყოს აღსანიშნავი იმის, რომ მუშათა კლასის ბაცილები განადგურებულ იქნას გეგმიურად და საბოლოოდ. ამის თავდებია პარტია, საბჭოთა ხელისუფლება, მრავალი მუშები გაერთიანებულნი პროფკავშირებში და სახელოვანი წითელი არმია. (მქუხარე ტაში).

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა.

დღეს ჩვენ შევკრებილვართ აქ, რათა მოვიგონოთ ის ჯალათობა, რომელიც დატრიალდა ამ ადგილზე. მინდა მოგაგონოთ, როგორც იმ მიტინგის მონაწილემ ეს გაუგონარი ბოროტმოქმედება ჩვენი მტრების. ეს იყო მაშინ, როდესაც მენშევიზმი აშკარად გადავიდა რეაქციის ბანაკში, როდესაც ამოლებული დანა ჩაგვცეს ზურგიდან, დაგვიხურეს გაზეთები და პარტია გამოაცხადეს არალეგალურად. ეს იყო აშკარა ომის გამოცხადება. რკინის გზელებმა გადასწყვიტეს მოაწყონ მიტინგი და ამცნონ მშრომელ ხალხს მენშევიკების მოღალატეობა და თვისი მათდამი წინააღმდეგობა. მიტინგს 1,000-მდე კაცი და ქალი დაესწრო. მიტინგი იყო სრულიად წესიერი და მშვიდობიანი. უეცრად გამოჩნდა ჯარი დროშებით. ხელს გვიქნევდენ და ჩვენ გვეგონა ჩვენი მომხრეები. ერთმა ჩვენმა ამხ. კუზნეცოვმა წასვლაც კი მოინდომა ჯარისაკენ მისასალმებლად მაგრამ, სრულიად მოულოდნელად ჯარი გარს შამოერტყა მიტინგს სწორედ იმ დროს, როდესაც ლაპარაკობდა ამხ. ნ. ცერცვაძე; გაისმა ზალპი, რამოდენიმე წაიქცა და მშვიდობიანი მიტინგი ასეთი მოულოდნელი თავდასხმით შეშინებული დაიფანტა. მათი ხელმძღვანელები ავაქოვი და ოფიცერი იმნაძე მოვიდნენ მოსალაპარაკებლად, რამაც შეშინებული ხალხი ცოტად დაამშვიდა, მაგრამ, როგორც კი დაინახეს ბოლშევიკები, დაიძახეს: „თავი არ აილოთ, თორემ ძაღლებივით დაგხოცავთო" და ავაქოვმა რევოლვერით დაიწყო ჰაერში სროლა; სროლას მოყვა ზალპი.

აქ იდგა სისხლის გუბე; მშვიდობიან მუშების ტვინი გაკრული იყო ხეებზე. მე მახსოვს ვილაცას ავეკიდე, როდესაც დროგით წაიღეს 35 დაჭრილი და 15 მსხვერპლი მუშების, ქალების და ბავშების. ეს იყო პირველი სისხლის ქორწილი მენშევიკების; ამ სისხლში გაიფერა მათი გვირგვინი, მაგრამ, მიუხედავათ კონტრრევოლიუციონერების დახმარებისა, მათ ვერ გაიდგეს ძირი. ამით აიხსნება ის გარამოება, რომ სამი წლის შემდეგ ერთის დაკვრით, როგორც მეძავები გაეშურენ ანტანტისაკენ, რათა საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელთა სისხლის გუბეზე გააცურონ ანტანტა ბაქოს ნავთისაკენ. მაგრამ ამაოდ. საფუძველი ჩაყარა ისეთ ჯარს, რომელმაც თავისი მადლიანი ხიშტით გაანთავისუფლა მშრომელი ხალხი და მოაღწია აქამდეც, სწორედ აქ მარხია 40 წითელ არმიელი, რომელნიც გმირულად შეეწირენ რევოლიუციას და თავისუფლებას. დღეს შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ამ პიროვნებებმა დაიდგეს ჩვენს გულში ძეგლი ხელთ-უქმნელი და ხელუხლებელი. (მქუხარე ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს იმ მიტინგზე მონაწილე ამხ. ამხ.: ცერცვაძემ, კორალიოვმა, ჯანიბარჩევმა, დალნაიამ და წითელი არმიის წარმომადგენელმა ამხ. ვრაჩოვმა.

რეზოლიუცია

მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მენშევიკების და ესერების მიერ ტფილისის მუშების რევოლიუციონურ კრების მხეცურად დახვრეტის 5 წლის თავზე, ტფილისის პროლეტარიატის მრავალრიცხოვანი მიტინგი, ხსნის რა თავის წითელ დროშებს თავის რევოლიუციონურ პოსტზე სახელოვანად დაღუპულ ამხანაგების საფლავზე, თავის პროლეტარულ კრულვას უგზავნის მენშევიკებს, რომელთაც არა ერთხელ გაიბანეს თავისი ჭუჭყიანი გამყიდველი ხელები მუშების სისხლით. „მუშათა საქმისათვის დაღუპულ ამხანაგების საფლავზე მთელი ქვეყნის გასაგონად ზეიმით ფიცსა ვსდებთ, რომ მათ დროშას, რომელიც გვიკავია ჩვენ მაზოლიან ხელებში წავიღებთ სულ წინ და წინ, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს მუშათა კლასის გადამწყვეტ რევოლიუციონურ ბრძოლას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომლისთვის მენშევიკების, ესერების, დაშნაკელების და მუსავატელების ტყვიით დაიღუპენ ჩვენი ამხანაგები!

საუკუნო ხსოვნა, საუკუნო დიდება პროლეტარულ პოსტზე დაღუპულ ამხანაგებს!

„სიკვდილი მუშების და გლეხების ჯალათებს—მენშევიკებს და ესერებს"!

დასასრულს მრავალ-რიცხოვანი მიტინგი ინტერნაციონალს უმღერის რევოლიუციისა და თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთ.

თელი არმიის ხუთი წლის თავისადმი „პრავდა" გამოვიდა შემდეგი ლოზუნგებით: „დღეს ნათლად გამოკრთის ხუთ წვეტიანი ვარსკვლავი, ის მოსჩანს მსოფლიოს ყველა კუთხიდან," „მუშათა და გლეხთა არმიას მიაქვს სიკვდილი კაპიტალიზმისათვის, რომელიც აწარმოებს ომს, ის მოგვიპოვებს ჩვენ მუდმივ მშვიდობიანობას."

„იზვესტიაში კალინინი სწერს: „ჩვენი არმია იქმნებოდა, იზრდებოდა და ძლიერდებოდა განსაკუთრებული გზით. ის შექმნეს მუშებმა და გლეხებმა, ხოლო განამტკიცა კომუნისტურმა პარტიამ. მტრებისათვის სამწუხაროდ წინააღმდეგ მათი მოლოდინისა მის წინააღმდეგ მიმართულ ყუმბარების ცეცხლში—სალკლდევდებოდა წითელი არმია, რომელიც გადაიქცა მრისხანე ძლევამოსილ ძალათ, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ერთგულ მცველად. ხუთი წლის გზა მოფარულია ნარ-ეკლით, მხოლოდ მჭიდრო კავშირმა მუშებთან და გლეხებთან მისცა მას საშუალება აეტანა შიმშილი, ზამთრის სუსხი, მასში სპობდა ყოველგვარი დაღლილობის ჩრდილს რომ ის იბრძოდა და ითმენდა გაჭირვებას საკაცობრიო საქმისა და ყველა მუშების და გლეხების უკეთესი მომავალისათვის. როდესაც დადგება ძნელი წუთი საბჭოთა რესპუბლიკისათვის, ყველა მებრძოლები და ხელმძღვანელები აღსდგებიან როგორც ერთგული დარაჯები, რესპუბლიკის დასაცავად,"

— „იზვესტია"-ში სტეკლოვი თავის წერილში—„რესპუბლიკის დაცვა" აღნიშნავს, „ამოცანა, რომელიც დააკისრეს წითელ არმიას რესპუბლიკის მშრომელებმა, შესრულებულია სავსებით. წითელმა არმიამ დაიცვა მუშათა კლასის და ფედერაციის პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებები უკუაგდო ყველა თავდასხმა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, დაამარცხა ყველა თავისი მტრები, აიძულა ისინი, რათა ეცნოთ მისი ძლევა-მოსილება და დაამტკიცა, რომ სამხედრო ძალა შეიძლება იყოს არა მარტო მშრომელთა ჩაგვრის იარაღი, არამედ აგრეთვე მათი განთავისუფლების იარაღიც. მასთან ერთად წითელი არმია ითვისებს მიწადმოქმედების ახალ ფორმებს და აწარმოებს ბრძოლის სულიერი სიღარიბის წინააღმდეგ და ამ რიგად, ის ღებულობს აქტიურ მონაწილეობას მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში.

— პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს ბრძანებაში ნათქვამია: „ყველა ქვეყნის მრავალ მილიონიან მუშების სახელით, რომლებიც გაერთიანებული არიან წითელი ინტერნაციონალის და პროფესიონალურ კავშირების დროშის ქვეშ, ჩვენ გამოვსთქვამთ იმედს, რომ თქვენ ყველანი, წითელ არმიელები და კომანდირები, აღსდგებით, როგორც ერთი კაცი, როდესაც ამას მოითხოვს საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესები. თქვენ იქნებით ფრთხილად, ფხიზლად, თქვენ იდგომებით, როგორც მებაირაღტრენი, კომუნისტური რევოლიუციის სადარაჯოზე".

— სამარის საგუბერნიო აღმასკომმა შესწირა წითელი არმიის იუბილეს გამო არტილერიის ყაზარმების შესაკეთებლად 30,000 მან. სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის საგუბერნიო კომიტეტმა გამოჰყო წითელ არმიელთა კვების გასაუმჯობესებლად 1,000 ფუთი პური. სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილება უგზავნის ხამხედრო ნაწილებს მაგიდებს და საწარ დაფებს.

— ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა ნაწილებიდან მოდის ცნობები წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის შესახებ. შეფების მიერ გაწეულია დიდი მუშაობა ყაზარმების აღდგენის საქმეში. იხსნება გამოფენა და წითელი არმიის მუზეუმი.

— როსტოვის უნივერსიტეტის პროფესურის და სტუდენტების საერთო კრებაზე ბუდენი, ერთხმად არჩეულია საპატიო სტუდენტად უნივერსიტეტის გამგეობის საპატიო წევრად.

— ბელორუსიის შეფების მიერ დახარჯულია წითელ არმიისათვის 110,000 მან. ოქროთი, 500 ფუთი ფქვილი, 150 ფ. ხორცი და 125 ფ. კრუპა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ერევანი. 23 თებერვალი.

წითელი არმიის ხუთი წლის თავი. წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაულის პირველი დღე, რომელიც გამოცხადებული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დღეთ ჩატარდა ერევანში ძლიერ წარმატებით. ქალაქმა მიიღო საზეიმო სახე. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და პროფკავშირების წარმომადგენლებმა ინახულეს წითელ არმიელთა ყაზარმები. ყაზარმები მოყვანილია სათანადო მდგომარეობაში და შემკული დროშებით, პლაკატებით, რევოლიუციის წინამძღოლთა სურათებით და სხვ. წარმოთქმულ იქნა სიტყვები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კამპანიის შესახებ. წითელ არმიელებმა წარმოადგინეს რეზოლიუცია, რომელშიც აცხადებენ, რომ 15 მარტისათვის სავსებით მოსპობილ იქნება არმიაში წერა-კითხვას უცოდინარობა. სალამოს სახელმწიფო თეატრში მოწყობილ იქნა კანაკირიდან ჩამოსულ წითელი არმიის ნაწილებისათვის მიტინგი და სპექტაკლი. მიტინგი უმთავრესად შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას. წითელ არმიელთა კლუბში ამხ. კარინიანმა ერევანის წითელი არმიის ნაწილებისათვის წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: წითელი არმია და საერთაშორისო მდგომარეობა. იმავე თემის შესახებ გამოვიდა ამხ. მრავიანი. მოხსენებების შემდეგ დადგმულ იქნა დღის თემაზე ინსცენიროვკა.

ეკონომიური ცხოვრება

ჩემოში.

ნატურალურ ფონდის შესახებ. საქართველოს ეკონომიურ საბჭოში ამხანაგობა „ჩემო"-ს მიერ შეტანილი იყო შუამდგომლობა, რათა გაენთავისუფლებიათ ის ნატურალურ ფონდის გადასახადისაგან იმ დრომდე, სანამ შავი ქვის წლიური ექსპორტი არ მიაღწევს 30 მილ. ფუთს. ეკონომიურ საბჭომ უარყო „ჩემო"-ს შუამდგომლობა.

ამის სამაგიეროდ მიღებულია ზომები, რათა შავი ქვით დასატვირთავ ვაგონების რიცხვი, რომელიც ეძლეოდა ჩემოს, გადიდებულ იქნას 200 ვაგონამდე დღეში.

ფოთში.

ამხანაგობა „ჩემოს" დირექციის მიერ გადაწყვეტილია აგონ ფოთში მოწყობილობა შავი ქვის ნიმუშის დასამტვრევათ, რომელიც შემდეგ გადაეცემა ქიმიურ ლაბორატორიას ანალიზისათვის.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი.

ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირს, რომელიც შესდგება 1 მარტს საზოგადოება „ჩემო"-საგან დაესწრებიან დირექტორები ა. მ. დარახველიძე და კ. პ. თუმანოვი და საბჭოს წევრი ის. ს. ვარაზაშვილი.

ქრონიკა

ქალაქის ალმასკომში

— **უბინაო ქალთა დროებითი თავშესაფარი.** ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაამტკიცა დებულება უბინაო ქალთა დროებით თავშესაფარი სახლის გასახსნელათ, რომლის ძალითაც აღნიშნული სახლის გამო გათვალისწინებულ ხარჯებს ალმასკომი კისრულობს, გარდა დებულების მერვე მუხლისა, რომლის მიხედვით ხარჯები უნდა იკისროს სახალხო სასურსათო კომისარიატმა.

— **ნაძალადევის მცხოვრებთა შუამდგომლობა.** ნაძალადევის მცხოვრებლებმა ქალაქის აღმასკომის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა, რათა მათ მიერ ახალ გაყვანილ ქუჩას დაერქვას „ინტერნაციონალის და" აგრეთვე აღმასკომმა თავის ხარჯით გაანათოს და ქვაფენილები მოაგოს აღნიშნულ ქუჩაზე. მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა „ინტერნაციონალის" წოდების შესახებ, უარი სთქვას, რადგან ამ სახელით ერთი ქუჩა უკვე არსებობს, ხოლო შუამდგომლობა დანარჩენის შესახებ დაკმაყოფილებული იქნეს.

— **უფასო ტრამვაის ბილეთები.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებისათვის წლიური 10 ბილეთის მიცემის შესახებ, წინადადება მიეცეს სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, შეიტანოს 1923 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში წლიური 10 ბილეთისათვის საჭირო თანხა და გამოეწეროს ბილეთები ხარჯთ-აღრიცხვის წესით.

— **უარი.** ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა უარი ეთქვას დადებულ ჯარიმისაგან განთავისუფლების შესახებ მეურნეებს აბულაძეს და რაზმაძეს.

— **ჟურ. „მომავალი" და გაზეთი „სპარტაკი".** მცირე პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად გამოწერილ იქნა 100 ცალი „მომავალი" და 200 ცალი „სპარტაკი". წინადადება მიეცეს საფინანსო განყოფილებას შეიტანოს ერთი თვის ხელმოსაწერი ფასი 13 მილიონი მან.

— **მუსულმანური სკოლა.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა, მუსულმანურ სკოლის სასარგებლოდ 3 მარტს წითელ არმიელთა კლუბში განზრახულ საღამოს გამო, მიეცეს ელექტრონის სინათლე დილამდის უფასოთ.

— **ახალი დიზელის შეძენა.** პრეზიდიუმმა დაადგინა შეძენილი იქნეს სააქციო საზოგადოებიდან დიზელა „ატლასი" და დამტკიცებულ იქნეს ამის შესახებ ხელშეკრულება და გაღებული იქნეს 12,500,000 მან. ოქროთი.

— **მილიციის უფროსი.** მილიციის უფროსის თანაშემწეთ გარეშე ნაწილში ა. წ. 17 თებერვლიდან დაინიშნა მოქ. ვლადიმერი ჰინჭარაძე.

— **საბინაო საკითხი.** საბინაო სექციამ იანვარში გამოსცა სულ 666 ორდერი, რომელნიც ნაწილდება შემდეგნაირათ—ბინა მიეცა მუშებს—30. წითელ არმიელებს—182. საბჭოთა თანამშრომლებს—331, სახლის პატრონებს—9. კერძო პირებს—13. მოწაფეებს—48. გამოურკვეველი დარჩა—52 ორდერი.

— **სადარაბო სექცია.** სადარაბო სექციას იანვარში გაუცია 272 დარაბა, 91 დარაბის შესახებ მოუხდენია მხოლოდ წინასწარი მიწერილობა, 7 დარაბის შესახებ საქმე შესრულებულია. უდიდესი ნაწილი ორდერებისა მიცემულია მეათე და მეოთხე უბანში.

— **დახმარება.** ქალაქის ალმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. გეგეჭკორის მოხსენება ოზურგეთში ვერაგულათ მოკლულ ჩუბინიძის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და დაადგინა: წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას სასწრაფოთ აღმოუჩინოს ამხ. ჩუბინიძის ოჯახს ბინა და მიეცეს აუცილებელი საჭირო ავეჯეულობა, აგრეთვე მიეცეს ფულად 30 მილიონი მან. ერთდროული დახმარების სახით და აღიძრას შუამდგომლობა ცენტ. ალმასკომის წინაშე, რათა აღნიშნული ოჯახი უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალურად.

— **საფინანსო განყოფილების მმართველობის შესახებ.** ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: საფინანსო განყოფილების გამგე განთავისუფლებული იქნეს ქვე განყოფილების გამგეობიდან და დაევალოს პასუხისმგებლობა განყოფილების მუშაობაში მთლიანათ. საფინანსო კოლეგია შედგეს 3 წევრისაგან: ამხ. ბასილია, დოლიძე და მდივანი. ფუნქციათა განაწილება და შინაგანი წესრიგის შექმნა მიენდოს თვით კოლეგიას.

— **გამგეების დანიშვნა.** სააადგილმამულო განყოფილების გამგეთ დაინიშნა აგრონომი ვაწაძე, მიწად-მოწყობის—ამხ. კორძაია, საბეითლო განყოფილების გამგეთ—ამხ. ჯაფარიძე.

— **საჩუქრები წითელ კურსანტებს.** ალმასკომის პრეზიდიუმმა 100 მილიონი გადასცა ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის სამმართველოს ოზურგეთში მყოფ კურსანტებისათვის საჩუქრების დასარიგებლათ 25 თებერვლის დღესასწაულის გამო.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **აგარაკის აღდგენა.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ხარჯთ აღრიცხვა აგარაკების—აბასთუმანის და ბორჯომის აღდგენისათვის, რომლებისათვისაც საჭიროა 215 ათასი მან. ოქროთი.

— **აგარაკების მმართველობა.** ჯანმრთელობის კომისარიატის დადგენილებით საქართველოს აგარაკების მთელი გამგებლობა გადადის ადგ. დირექტორების განკარგულებაში, რომელიც ექვემდებარებიან საქართველოს აგარაკების მთავარ სამმართველოს. დირექტორებს დიდ აგარაკებში დაენიშნებათ ორი თანაშემწე საექიმო-სასანიტარო და სამრეწველო-სამეურნეო დარგებში. პატარა აგარაკებში კი იქნება ერთი მმართველი-დირექტორი.

— **წარმომადგენელის დანიშვნა.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ფინანსთა კომისარიატის საბიუჯეტო კომისიაში, რომელმაც აგარაკების აღსადგენათ უნდა გამოიმუშაოს სათანადო ხარჯთ აღრიცხვა—დანიშნა ექიმი ზანდუკელი.

ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნ. სამმართველოში.

— **დაწესებულებათა რეგისტრაცია.** ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს კოლლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა; წინადადება მიეცეს შრომის დაცვის განყოფილებას დაწესებულებების რეგისტრაცია მოახდინოს ამიერკავკასიის შრომის კომისარიატის თანხმობით.

— **პენსიონერთა შესახებ.** სიტყვა „პენსია" შეიცვალოს „ყოველ თვიურ დახმარება"-დ სიტყვა „ინვალიდთა შრომა" აღარ იხმაროს ყოველთვიურ დახმარების დროს, როდესაც სახელმწიფო დამხმარე განყოფილება გაუწევს დახმარებას და მხედველობაში უნდა მიღებული იყოს მხოლოდ ნივთიერი საშუალება და არა ინვალიდთა წარსულ სამსახურის სტაჟი. ამასთანავე წინადადება მიეცეს სახელმწიფო დახმარების განყოფილების გამგეს ამხ. ათაბეგოვს—თუმას, შეადგინოს პროექტი ყოველ თვიურ დახმარების შესახებ, ნაცვლად წინანდელ პენსიებისა და წარადგინოს დასამტკიცებლად კოლეგიის წინაშე.

თბილისის ალმასკომის სამდივნო

სთხოვს საბჭოს და ალმასკომის ყველა წევრებს

შემოიარონ სამდივნოში

საანკეტო ფურცლების

შესავსებათ და საწევრო წიგნაკების მისაღებათ საღამოს 5—8 საათამდე შემდეგი რიცხვებში:

1-ლი რაიონის დეპუტატებმა	27 და 28 თებერვალს
2-რე „ „	1 და 2 მარტს
3-რე „ „	3 და 5 „
4-ხე „ „	6 და 7 „
სამხედრო დეპუტატებმა	8 და 9 „

მაზრის წარმომადგენლებისათვის ყოველ დღე რიგს გარეშე.

კრ. 217—3—1

შეფების ბიურო

წინადადებას აძლევს შეფების რწმუნებულებს და შეფობის ქვეშ მყოფ ნაწილებს, შეადგინონ შეფებ ს მიერ გაცემულ თანხების ხარჯთ-აღრიცხვა ნაწილის საჭიროებათა მიხედვით, და ამასთანავე დაახლოვებით დაიცვან შემდეგი შეფარდება:

წითელ არმიელთა პოლიტიკურ და საკომანდო შემადგენლობის ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად—40 პროც. კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის—40 პროც., გაუთვალისწინებელი ხარჯები—20 პროც. ფულის გაცემა არ უნდა შეფერხდეს ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებით და უნდა ხდებოდეს შეფობის მიღების დღიდან, ჩვეულებრივი წესით, ნაწილის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა მიხედვით. ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ფულის დახარჯვის კანტროლი ევალებათ შეფების რწმუნებულებს, რომელნიც პასუხისმგებელთ არიან ყოველგვარი დაუდევრობის გამოჩენისათვის.

შეფების ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი—**არუსტანოვი.**

კარგად არის დაყენებული, რომ შეძლებას იძლევა რამოდენიმე ციფრებში დავასურათოთ შრომის ნაყოფიერების მსვლელობა, დაწყებული 1921 წლის სექტემბრიდან, ვიდრე 1922 წლის აგვისტომდე. ცნობები 1921 წ. აპრილიდან ვიდრე სექტემბრამდე ჩვენ არ მოგვეპოვება, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებში არ იყო სათანადოთ მოწესრიგებული სტატისტიკა და შრომის ნაყოფიერების აღნუსხვა.

ცნობები ტრესტის თამბაქოს ფაბრიკაში შრომის ინტენსივობის შესახებ

პერიოდები	საერთო რიცხვებში (მოსაწევ ერთეულებში)	შედარებითი რიცხვებში
1914—1916 წ.წ.	6.400	100
1921 წ. სექტემბერი	8.145	127
„ ოქტომბერი	9.420	147
„ ნოემბერი	7.240	110
„ დეკემბერი	7.322	114
1922 წ. იანვარი	6.890	107
„ თებერვალი	8.760	137
„ მარტი	8.730	134
„ აპრილი	8.100	125
„ მაისი	9.476	148
„ ივნისი	9.320	145
„ ივლისი	9.607	149
„ აგვისტო	11.665	182

ამ ნუსხის ციფრები, სამი თვის გარდა (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი) გვიჩვენებს შრომის ნაყოფიერების სისტემატიურად გადიდებას. ინტენსივობის დაცემა, რომელიც აღნიშნულია ხსენებული სამი თვის განმავლობაში, გამოწვეული იყო სამუშაო ხელფასის საერთოდ შემცირებით რაიც შედეგი იყო ტფილისის პროდუქტების ბაზარზე ფასების გადიდებისა. მიუხედავად ამისა, ამ მომენტშიც კი, შრომის ინტენსივობა აღემატება 1914—1916 წლების მაქსიმალურ მიღწევას (6.400 მოსაწევი ერთეული). თამბაქოს ტრესტის ოფიციალური ანგარიში ასაბუთებს ამ გარემოებას ფულის ოპერაციების შეფერხებით; რასაკვირველია, ჯამაგირის თავის დროზე მიუცემლობას აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ შრომის ინტენსივობის დაცემის მთავარ მიზეზად მაინც უნდა ჩაითვალოს, როგორც ეს ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, სამუშაო ხელფასის რეალი ღირებულების დაცემა. საყურადღებოა აღინიშნოს აგრეთვე ერთი ოფიციალური ცნობა, რომელიც შრომის ინტენსივობის სიდიდეს უკავშირებს ვითომდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდს. მოგვყავს ტექსტი: „ოქტომბერში (ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამდე) სამუშაო ხელის ინტენსივობა აღემატება ომამდე არსებულ ნორმას 47 პროც., ხოლო ამა წლის აგვისტოში კი 82 პროც." ცხადია, საქმე იმაში კი არ არის, იყო თუ არა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი, არამედ იმაში, რომ ინტენსივობის გადიდების ძირითად მომენტად უნდა ჩაითვალოს, ნაწილობრივ, მუშაობის უკეთესად დაყენება ადმინისტრატიულ ტეხნიკურ მმართველობის სფეროში, ხოლო უმთავრესად კი მუშათა შედარებით მაღალი მატერიალური უზრუნველყოფა. ინტერესს არ არის აგრეთვე მოკლებული შრომის ნაყოფიერების სფეროში იმ მიღწევათა შედარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა თამბაქოს ტრესტის ფაბრიკებსა და კერძო დენაციონალიზაცია—ქმნილ წარმოებებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში კერძო წარმოებებში შრომის ინტენსივობა უფრო დიდი იყო, ვინემ სახელმწიფო წარმოებებში, მაგრამ დროთა მსვლელობაში მოხდა თანდათან თვალსაჩინო გათანასწორება, ხოლო უკანასკნელ პერიოდში თამბაქოს ტრესტის მუშათა ნაყოფიერებამ საგრძნობლად გაუსწრო წინ დენაციონალიზაცია ქმნილ წარმოებათა მუშების ნაყოფიერებას. რაიცა შეეხება პაპიროსებისათვის კოლოფების მომზადებას, ამა წლის 5 თვის განმავლობაში შეკრებილი ცნობები გვიჩვენებენ იმდენად მაღალ ნაყოფიერებას, რომ უკეთესის ნატვრაც შეუძლებელია. საჭიროა კიდევ აღვნიშნოთ, რომ თამბაქოს ტრესტის წარმოებანი ბათომსა და ქუთაისში, შრომის ინტენსივობის მხრით, ტფილისს არ ჩამოუვარდებიან; განსაკუთრებთლი ყურადღების ღირსია ქუთაისის ფაბრიკა, სადაც შრომის ნაყოფიერება რამოდენიმეთ უფრო მაღლა სდგას ტფილისისაზე.

ტყავის წარმოება.

ტყავის მრეწველობის ნორმალი მუშაობა არსებითად მოითხოვს წარმოების სრულ დატვირთვას და ნედლი მასალების დამზადებისათვის დიდ ფინანსიურ საშუალებათა გაღებას, ვინაიდან ტყავეულის დამუშავების პროცესი მოითხოვს ხანგრძლივ დროს (რამოდენიმე თვეს). არსებულ პირობებში, როგორც წარსულში, ისე დღეს-დღეობით, წარმოებანი მუშაობენ არა სავსებით დატვირთულნი და ამიტომ ტყავის მრეწველობაში განსაკუთრებით აშკარად იჩინა თავი შეუთანაბრობამ, შრომის ინტესივობასა და დამზადებული საქონლის გამოშვების (ე. ი. საერთოდ წარმოების ნაყოფიერების) შორის. იმ დროს, როდესაც შრომის ინტესივობამ მიაღწია მშვიდობიანი დროის სიმაღლემდე, წარმოების ნაყოფიერება დაეცა 20—25 პროც. ომამდე არსებულ პერიოდთან შედარებით. ხსენებული შეუთანაბრობა სხვათა შორის აიხსნება იმითაც, რომ წარმოებათ არა აქვთ საკმარისი რაოდენობა მაღალი ხარისხის მთრიმლავი ექსტრაქტებისა (ДУБИЛЬНЫЙ ЭКСТРАКТ), რომელთა მნიშვნელობაც კოლოსალურია, რადგანაც იგი ამცირებს ტყავის გადამუშავებისათვის საჭირო დროის ერთეულს და მაშასადამე გავლენას ახდენს წარმოების მიერ საქონლის გამოშვების უნარიანობაზეც. ამავე დროს სამუშაო ენერგიის დახარჯვა ერთი და იგივე რჩება, როგორც კარგი, ისე სუსტი ექსტრაქტების დროსაც, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტყავეულის დამუშავება დროის მიხედვით რამოდენიმეჯერ უფრო გვიანდება. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ,—რამდენათაც უფრო იზრდება რაოდენობა დროისა მთრიმლისათვის (дубление) უექსტრაქტოთ, იმდენჯერვე უფრო მეტი შრომის ერთეულია საჭირო.

შედარებითი ნუსხა შრომის ინტენსივობისა ნაკეთობის ერთეულებში.

მშვიდობიან დროს	1921 წ. სექტ.	1922 წ. იანვ.	1922 წ. მაისი	1922 წ. აგვისტ.
2 ფუთი	6 ფუთი (6-ჯერ)	3,75 ფ. (3-ჯერ)	2,2 ფ. (2-ჯერ)	2 ფ. (2-ჯერ)

შენიშვნა: შრომის ინტენსივობის გამოზომვის ერთეულად აღებულია 2 ფუთი დამზადებული საქონლისა—დღიურად მომუშავეზე.

ნაყოფიერების ციფრები, თუ ჩვენ მას შევადარებთ სამუშაო ხელფასის ცვალებადობის სათანადო პერიოდებს, ამჟღავნებენ შრომის ინტენსივობის სრულ დამოკიდებულებას იმ რეალურ სარგებლობისაგან, რომელსაც მუშა იღებს თავისი შრომისათვის. როდესაც სამუშაო ხელფასი იყო უმნიშვნელო (21 წლის სექტემბერი), ნაკეთობის ერთი ფუთისათვის საჭირო იყო 6 სამუშაო დღე. 1922 წ. იანვარში მეტყავეებს ეძლეოდათ გადიდებული სამუშაო ხელფასი და ამისდა მიხედვით ჩვენ ვხედავთ შრომის ინტენსივობის 60 პროც. გადიდებას. დასასრულ, კოლექტიურ ხელშეკრულებათა პირობებში შრომის მოწესრიგების ნორმების შეტანით, რომელმაც კიდევ უფრო გაადიდა სამუშაო ხელფასი, შრომის ინტენსივობა რამოდენიმე ხნის განმავლობაში აღწევს მშვიდობიანი დროის სრულ 100 პროც.

პოლიგრაფიულ წარმოებაში.

პოლიგრაფიული წარმოება, როგორც საერთო წესი, თითქმის ყოველთვის მოკალათებულია სახელმწიფოს ცენტრში. რაიცა შეეხება პროვინციას, იქ მას, საქართველოს რესპუბლიკის პირობებში, აქვს კუსტარული ხასიათი; ამის გამო ჩვენ მოგვყავს ცნობები შრომის ნაყოფიერების შესახებ მხოლოდ ქალ. ტფილისის წარმოებათა მიხედვით. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქვემოდ მოყვანილი ნუსხა ეხება მხოლოდ მანქანაზე მომუშავე მუშებს.

მანქანაზე მომუშავე მუშების შრომის ნაყოფიერება პოლიგრაფიულ წარმოებაში.

შრომის სახყიდლის პირობები	მუშაობის ხასიათი.							
	ანაბეჭდის რაოდენობა და მანქანის სისტემა.							
	სტამბის პტყელ მანქანაზე.	მშვიდობიანი დროის პრ.-ბი	„ამერიკანკაზე".	მშვიდობიანი დროის პრ.-ბი	ჩქარ ლიტოგრ. ჩარხზე.	მშვიდობიანი დროის პრ.-ბი	რაოდ. სხვა და სხვა შრიფტი, რომელიც ჩამ. ხმ. იყო.	მშვიდობიანი დროის პრ.-ბი
პრემიალურ სისტემამდე არსებულ მტკიცე განაკვეთების დროს	2.800	61	2.600	65	2.600	65	30 გ.	75
პრემიალური სისტემის დროს	2.900	65	2.700	68	2.700	68	30 „	75
კოლექტიური ხელშეკრულობის დროს	3.100	69	2.900	73	2.900	73	35 „	88

პოლიგრაფიულ წარმოებაში, მანქანაზე მომუშავეთა ნაყოფიერების ცნობები აგრეთვე ამჟღავნებს სრულ კავშირს სამუშაო ხელფასთან. მაგრამ შემცდარი ვიქნებოდით, რომ ზემოხსენებულ ნუსხაში მოყვანილი ცნობების მიხედვით, გამოგვეყვანა დასკვნა ბეჭვდითი საქმის მუშათა შრომის ინტეხსივობის შესახებ მთლიანად. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი, უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევაში, ეკუთვნის მანქანას; ადამიანს, უკეთეს შემთხვევაში, კიდევაც რომ იგი ხარჯავდეს ენერგიის მაქსიმუმს, არ შეუძლია არსებითად შესცვალოს მისი მოძრაობა, მანქანის სავსებით გაჩერების საფრთხის გარეშე; მას შეუძლია მხოლოდ მისი შესაძლებელი ნაყოფიერების მაქსიმუმი გამოიყენოს. ამავე დროს კი, დღევანდელ პირობებში, მანქანებს უმეტეს შემთხვევებში, ჯერ ერთი—არა აქვთ სამარაგო ნაწილები (ისინი გამოილია) და მეორეს მხრით,—ისინი ძალიან გაცვეთილნი არიან, რის გამოც საჭიროა მათდამი ძალიან ფრთხილი მოპყრობა; ეს კი იწვევს მის კონსტრუქტიული სისწრაფის შემცირებას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრით გავლენას ახდენს მანქანის გამოშვების უნარიანობაზე. გარდა ამისა მანქანაზე მომუშავენი შეადგენენ ერთ მეოთხედს წარმოების მუშების მთელი რიცხვისას; უმთავრეს ჯგუფს კი შეადგენენ ასოთ-ამწყობნი,—დაახლოვებით, მუშათა მთელი შემადგენლობის სამ მეოთხედს. მათ ამ უკანასკნელ ხანაში მიაღწიეს ძალიან მაღალ ინტენსივობას, რაიც ნათლად მოსჩანს ქვემოდ მოყვანილ ნუსხაში.

ასოთ-ამწყობთა შრომის ნაყოფიერება პოლიგრაფიულ წარმოებაში.

მშვიდობიან დროს	პრემიალურ სისტემ. არსებ. მტკიცე განაკ. დროს	პრემიალური სისტემის დროს	კოლექტიური ხელშეკრულების დროს
100 პროც.	50 პროც.	75 პროც.	104,5 პროც.

ამრიგად პოლიგრაფიულ წარმოებაში, როგორც სხვა წარმოებებშიც, შრომის ინტენსივობა პირდაპირ დამოკიდებულია ისევ და ისევ სამუშაო ხელფასზე. არ არის საჭირო ცალკე მოვიყვანოთ შედარებითი ნუსხა პოლიგრაფიული წარმოების მუშათა შემადგენლობისა საერთოდ, შრომის ინტენსივობის სფეროში მათ მიღწევათა გამორკვევის მიზნით, რადგანაც უბრალო გამოანგარიშება გვეუბნება, რომ თუ მანქანაზე მომუშავენი დაახლოვებით იძლევიან 80 პროც. ომამდე არსებული დამუშავების ნორმისას, ხოლო ასოთ-ამწყობნი კი 104,5 პროც. მივიჩნევ რა პირველი ჯგუფის მეორესთან შეფარდებას, როგორც 1 : 4, მივიღებთ შრომის ნაყოფიერების ხარისხს, რომელიც უდრის ომამდე არსებული პერიოდის 99 პროცენტს. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომის მაღალი ინტენსივობა სავსებით არ უთანხმდება სამუშაო ხელფასის მოძრაობას—ეს უკანასკნელი რამოდენიმეთ უკან რჩება პირველს.

საქსოვი მრეწველობა.

საქსოვი მრეწველობა საქართველოში უმთავრესად კუსტარული ხასიათისაა და ამიტომ შეუძლებელი ხდება შრომის ნაყოფიერების ციფრებში იმგვარად გამოხატვა, რომელიც საერთოდ დაგვისურათებდა ამ წარმოების მდგომარეობას. ჩვენს განკარგულებაში არსებული მცირეოდენი ცნობები შრომის ნაყოფიერებისა „მე-3 კომინტერნისა" და „26 კომუნარის" სახელობის ფაბრიკებში, გვიჩვენებს შემდეგს:

შრომის ნაყოფიერება საქსოვ მრეწველობაში.

წარმოების სახელწოდება.	1914 წ.	1921 წ.	1922 წ.
მე-3 კომინტერნის	100	40	81
26 კომუნარის	100	25	100

რაც შეეხება „წითელი პროფინტერნის" ბამბის ფაბრიკას, მის ცნობებს ნაწილობრივი ხასიათი აქვს, ნედლი მასალის ხშირი უქონლობისა და წარმოების არა სრულად დატვირთვის გამო და ამიტომ შეუძლებელი ხდება დასკვნების გამოტანა. მაგრამ ისეთ მომენტებში, როცა ფაბრიკა საკმარისად დატვირთული იყო, შრომის ინტენსივობა აღწევდა იმავე დონემდე, როგორც „მე-3-ე კომინტერნისა" და „26 კომუნარის" ფაბრიკები.

ქიმიური მრეწველობა.

შრომის ინტენსივობის აღნუსხვის საქმე ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება ქიმიურსა და მინის მრეწველობაში. როგორც ბორჯომის ისე ავჭალის მინის ქარხნებში ამ უკანასკნელ დრომდე რემონტი სწარმოებდა, ქარხნები ხელახლა ირთვებოდა ხელსაწყო იარაღებით და მათი ადმინისტრატიული პერსონალის დაუსრულებელი შეცვლა ხდებოდა, მხოლოდ ამ უკანასკნელ თვეებში ორივე ეს ქარხანა შედარებით უფრო მკვიდრ საფუძველზე დადგა და რასაკვირველია, შედეგმაც, შრომის ინტენსივობის გადიდების მხრით, მსწრაფლ იჩინა თავი. ასე მაგალითად, დანამდვილებით ვიცით, რომ ბორჯომის მინის ქარხნის ნაყოფიერებამ ათეული პროც. გადაამეტა ომამდე არსებული შრომის ინტენსივობას, მაშინ, როცა ნედლი მასალა ამ ჟამად შედარებით უფრო ნაკლები იხარჯება. უფრო ცუდათ არის შრომის ნაყოფიერების საქმე ავჭალის მინის ქარხანაში. უეჭველია ის, რომ ხსენებული ქარხნების ნორმალურ მუშაობას აბრკოლებდა აუცილებელი ნედლი მასალის სათანადო რაოდენობის უქონლობა და, აგრეთვე, მრავალ თვეების განმავლობაში მუშების სამუშაო ხელფასის გაუსტუმრებლობა. დღესდღეობით ყველა ეს ნაკლი გამოსწორებულია: ქარხნები ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მათ მტკიცე ნაყოფიერებას და შემოსავლიანობას. შრომის ინტენსივობის მხრით ასეთივე მდგომარეობა იყო ზეთის სახდელ და საპნის ქარხნებში. 1921 წელში სწარმოებდა ქარხნების გაძლიერებული რემონტი და დღეს-დღეობით შრომის ნაყოფიერების დაცემა აიხსნება უმთავრესად იმით, რომ არ არსებობს სათანადო რაოდენობა ნედლი მასალისა. ის ნედლი მასალა, რომელიც ამ ქარხნების განკარგულებაშია, იმდენათ უმნიშვნელოა და არა მუ-მივი, რომ ისინი ხშირად იწვევენ წარმოების ამა თუ იმ განყოფილების მუშაობის სავსებით შეჩერებას. და თვით დატვირთვა მიმდინარე წელში, მაგალითად, საპნის წარმოების საქმეში, შეადგენს მშვიდობიანი დროის მხოლოდ 12 პროც., ხოლო ბამბის ზეთის გამოხდა უდრის მხოლოდ 6 პროც. ასეთ პირობებში, ცხადია, შეუძლებელია დღევანდელ შრომის ინტენსივობის ომამდე არსებულ ინტენსივობასთან შედარება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ განკარგულებაში არსებული ცნობები გარკვეულად მიგვითითებენ მიმდინარე წელში შრომის ინტენსივობის შემცირებაზე. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის იმ სახალხო მამულების წარმოებითი ფუნქციები, რომელნიც უმთავრესად მუშაობენ სპირტის პროდუქტების დამზადებაზე, განისაზღვრება სამი ძირითადი მომენტით: ნიადაგის დამუშავება, ვაზის მოვლა და დასასრულ, თვით სპირტის პროდუქტების დამზადება. იმისათვის რომ სწორად მიუდგეთ ამ წარმოებაში შრომის ინტენსივობის განსაზღვრას, საჭიროა ანგარიში გაუწიოთ იმ განსაკუთრებულ თვისებებსაც, როგორშიც მიმდინარეობს ეს შრომა, რომელიც არსებითად სასოფლო მეურნეობის კატეგორიას მიეკუთვნება. აქ, რასაკვირველია, სრულებით შეუძლებელია იმ სამუშაო ენერგიის რაოდენობისა და სამუშაო დროის სისწორით აღნუსხვა, რომელიც იხარჯება განსაზღვრული წარმოებითი ეფექტის მისაღებად, ვინაიდან თვით მუშაობის წარმოების წესი მოითხოვს ხშირ შეწყვეტა-შეჩერებას და ეს მუშაობა უმეტეს შემთხვევაში სწარმოებს არა ნორმალური სამუშაო დღის განმავლობაში, არამედ იგი ნაწილდება შედარებით უფრო დიდ და პატარა პერიოდებში. ამ რიგად ფაქტიურად ვიღებთ არა რვა საათის სამუშაო დღეს, არამედ 6 საათიანს და ზოგიერთ შემთხვევებში 4 საათიან სამუშაო დღესაც კი (გოგირდით გამოხრჩოლვა). ამ უკანასკნელ გარემოებას, რასაკვირველია კოლოსალური გავლენა აქვს შრომის ნაყოფიერების ციფრებით გამოსახვაზე, ამცირებს რა მას საგრძნობლად. ასე მაგალითად, იმ სპეციალისტების ცნობით, რომელნიც მუშაობენ ამ წარმოებაში, მამულების საერთო ნაყოფიერება დაეცა დაახლოვებით 25 პროც., თუმცა ცალკე მომუშავეთა შრომის ინტენსივობა, ამ წარმოების ყველა სახესა და დარგში, ფაქტიურად უდრის ომამდე არსებულ ინტენსივობას. ცენტრალური ღვინის საწყობის მუშაობა, ღვინის გამოშვების საქმეში, საგრძნობლად შემცირდა: შენიშნულია მძიმე სამუშევარით დატვირთული მუშების ინდივიდუალური შრომის ინტენსივობის განსაზღვრული შემცირება—საწყობებში ბოჭკების დაწყობა ინტენსივობის მხრით შემცირდა ომამდე არსებულ პერიოდთან შედარებით დაახლოვებით 50

მუშათა ცხოვრება

25 თებერვალს!

(მუშის სიმღერა)

გაგვითენდა დღეს ბრწყინვალე
ოცდახუთი თებერვალი,
რამაც მოგვცა ჩვენ იმედი,
ტკბილი, ნაზი, მომხიბლავი!

მოგვაშორა ფეხზე ხუნდი
და ხუცების თოკ-ბაწარი,
განგვიკურნა სუსტი გული,
მონობისგან განამწარი.

ააშფოთა, შეაძრწუნა
აღმოსავალ-დასავალი
და მუხანათს ევროპასა
სტყორცნა მეხი, ქარიშხალი.

მას ვერ უძლებს მტერთა რაზმი,
ვერცა ციხე, ვერცა ფარი;
მის წინაშე ჰკრთის, ცახცახებს
თვით ლონდონი და ვერსალი...

აბა, მიხო, შრომის შვილო,
მოიმარჯვე მაგრად ხმალი!..
მოაშორე თოფსა ჟანგი,
დაამზადე თოფ-წამალი!

გადვისროლოთ ევროპაში
წითელ ცეცხლის ნაპერწკალი,
და რურისა წამებულთა
მივაშველოთ ჩვენი ჯარი!

დაუძახოთ „კონწოლებსაც“, *)
თუ მართლა სწამთ ძმური ვალი,
და ლორდებსა, ბირჟევიკებს
მივაყაროთ ცეცხლის ალი!

აბა, მორჩო, თხიზლად გქონდეს
გული, ყური, ნორჩი თვალი;
შეკაზმული ცხენი გყავდეს,
შეაკეთე შენ აბჯარი!

გავექანოთ პარიზისკენ,
ოდეს დარეკს ბრძოლის ზარი
და იქაურ ორაგულებს
დავანახოთ „ჩეკ“-ის თვალი!

გაუმარჯოს ჩვენს თებერვალს!
რამაც მოგვცა მიწა წყალი,
ფაბრიკები და ქარხნები
და ქონება უთვალავი!

განამტკიცა მან ჩვენთანაც
კომინტერნი საოცარი
და წითელი, უძლეველი
შეგვთავაზა მან ჩვენ ჯარი!..

გაგვითენდა საზეიმო
ოცდახუთი თებერვალი;
ვილხინოთ და თან შევსძახოთ
ჩვენ ინტერნაციონალი!!!

მუშ.-მეგ.—გ.

---

*) იგულისხმება ქემალისტები—(წითელ კონწოლიანები).

თბილისის ქიმიური ქარხანა.

ეს ქარხანა მოთავსებულია ლენინის ქუჩის ბოლოში. ქარხანაში მუშაობს მარტო 4 მუშა და ამ მცირე მათმა რიცხვმა მომცა საშვალება, რათა ყველაზე ერთად დამეკითხა, თუ რაში მდგომარეობს მათი მუშაობა, როგორ ხელფასს ღებულობენ ისინი და არიან თუ არა კმაყოფილი თავიანთ სამუშაოთი და სხვა. ჩემ შეკითხვებზე მუშებმა მომცეს შემდეგი პასუხი: „ვინაიდან ჩვენ ამ ქარხნის გახსნის დღიდან ვმუშაობთ, ამ ქარხანაში აქ დავბერდით, ამიტომ გვეძნელება ჯერ-ჯერობით თავის განებება, თორემ ჩვენ დიდი ხნის წინედ გავანებებდით თავს ამ ქარხანას, რადგან ჩვენ არ ვსარგებლობთ ქარხნის მმართველის ყურადღებით და ამიტომ შრომის ხელფასს ჩვენ არ ვღებულობთ შრომის სიძნელის მიხედვით. ქარხნის მმართველი სრულიად არ გრძნობს იმას, შესაძლებელია თუ არა არსებობა იმ ჯამაგირით, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ მისგან, საშვალოდ 4—5 მილიონამდე, და ისიც 1 თვის დაგვიანებით, და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვყავს სახლში ოთხი-ხუთი სული სარჩენი აუტანელ სიძვირეში, ჩვენთვის მაინც არ არსებობს არც ულუფა, არც მისი ნაცვლად რაიმე სხვა დახმარება და არც გვეძლევა მუშაობის დროს სამუშაო სპეც-ფეხ-ტანსაცმელი და საკუთარი ფეხ-ტანსაცმელით კი შეუძლებელია მუშაობა, ვინაიდან ისინი ძლიერ ისვრება და იცვითება მუშაობის დროს, რაც გვაყენებს უფრო ცუდ მდგომარეობაში“...

ამის შემდეგ მუშებმა გამაცნეს თვით ქარხნის მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ქარხნის სახურავის სიძველისა გამო წვიმის დროს თავისუფლად ჩამოდის წყალი სამუშაო ოთახებში და შეუძლებლად ხდის ქარხანაში მუშაობის წარმოებას, ვინაიდან აქ წყალი მუხლამდე დგება. ამ დაუშვებელ მდგომარეობას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება ვისგანაც ჯერ-არს,—იქნეს დაუყოვნებლივ შეკეთებული ქარხნის სახურავი და მუშათა მდგომარეობა გაუმჯობესებული არსებულ შრომის კანონების მიხედვით.

ინფ.—კორ. ხ. შ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

23 ოებერვალს გაიმართა ს. ს. ს. რ. და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 165 კაცი. კრების თავმჯდომარე ამხ. დ. კლდიაშვილი აცხადებს შემდეგი დღის წესრიგს: 1) წითელი არმიის ხუთი წლისთავი და 2) საბჭოთა საქართველოს ორი წლის თავი. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ალნიაშვილი, რომელიც აღნიშნავს წითელი ჯარის შექმნის და მისი გმირული ბრძოლის ისტორიას ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო იმპერიალიზმის ბანდებთან და შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან. მოხსენების გამო ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მ. | გ. ინსპექციის თანამშრომელთა და მუშათა საზოგადო კრებამ, მოისმინა რა მან მოხსენება წითელი არმიის ხუთი წლის თავის შესრულების შესახებ, მხურვალედ ესალმება მას, რომელიც იცავს საერთაშორისო პროლეტარიატს დრომოჭმული კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან. წითელი არმია როგორც წარსულში ისე მომავალში არამც თუ დაიცავს რუსეთის დიდ ფედერაციას შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციისაგან, არამედ, როდესაც დაკრავს ზარი, მზათ იქნება თავის ბასრი მახვილი ჩასვას მკერდში მსოფლიო კაპიტალიზმს“.—მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ათარბეკოვი, მან აღნიშნა მეორე ინტერნაციონალის გაკოტრება იდეოლოგიურად და პრაქტიკულად საერთოდ, და კერძოდ კი საქართველოს მაგალითზე. მოხსენების შესახებ მაღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: საზოგადო კრება ესალმება საქართველოს მშრომელი მასის განთავისუფლებას ევრომის იმპერიალისტების მაჩანჩალა მენშევიკებისაგან. აღნიშნავს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მშრომელთა ინტერესების ჭეშმარიტი დაცვა და მის სათავეში მდგომ კომუნისტურ პარტიას მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლველად დარაზმვა და ხელმძღვანელობა.

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ინ. ფ.—კორ. დ. ქ.

— **სოციალურ დაზღვევის შესახებ.** პროფკავშირებს და საბჭოთა დაწესებულებებს, რომელნიც კი იმყოფებიან სახელმწიფო მომარაგებაზე დაეკავოს 14 პროც. შემოსავლიდან სოციალურ დამზღვევ კასაში შესატანად, წინადადება მიეცეს სოციალურ დამზღვევის განყოფილებას გამოიმუშავოს სათანადო ცირკულიარი და ცხოვრებაში გაატაროს იგი ა. წ. 1 იანვრიდან.

— **შრომის კანონების დარღვევისათვის** ორშაბათს, 26 თებერვალს, საღამოს სრულ 4 საათზე დანიშნულია ქ. ჭიათურაში მუშათა კლუბის ბინაზე, სახალხო სასამართლოს პირველი სესია. პასუხის გებაშია მიცემული, შრომის კანონების დარღვევისათვის, შემდეგი დაწესებულებანი, სამრეწველო ფირმები და მოქალაქენი: 1. ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. 2. ადგილობრივი ხაზინა. 3. შავი ქვის მრეწველი, ჯიბო აბაშიძე. 4. ყასაბი, თურანდოვი. საქმეები გაირჩევა ღია კრებაზე სადაც ყველა მოქალაქეთ შეუძლიან დაესწრონ.

კრებები და მოხსენებები

— **საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.** დღეს 25 თებერვალს საზოგადოების დარბაზში (ბარიატინის ქუჩაზე) წაიკითხება მოხსენებები: 1) „მევენახეობის მდგომარეობა საქართველოში და მისი პერსპექტივები“ ქ. ბერეკაშვილი და 2) „ჩვეულებრივი ფიჭვის მოდგმები“ (რასები) პროფესორი ქურდიანი. დასაწყისი დილის 10 საათიდან.

სხვა და სხვა

— **შეფობის მიღება.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულია შეფობა ცალკე კავკასიის ნაწილის პირველი კავკასიის მსროლელთა დივიზიისა.

— **საქართველოს მეცხვარეობა.** მეცხვარეთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლათ და მდგომარეობასთან გასაცნობად ამ დღეებში მიემგზავრება მთებში ამხ. მ. მ. ხუხუნაიშვილი, რომელსაც განზრახული აქვს დაჰყოს იქ მთელი წელი და დაწვრილებითი მასალები შეკრიბოს ამ დარგში.

წერილი რედაქციის მიმართ

გამოვდივარ ს. ფედერალისტთა პარტიიდან.

მე ვირიცხებოდი 1904 წლიდან „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ. სარევოლიუციო პარტიაში“, მაგრამ რადგან დღეს მრწამს კომუნისტური პარტიის მისწრაფება, ვაღიარებ მის პროგრამას და მსურს ვიმუშავო აღნიშნულ პარტიაში, ამიტომ გამოვდივარ დღიდან სოც.-ფედერალისტ. პარტიიდან.

გიგო სვიმონისძე ლორთქიფანიძე.
5 თებ. 1923 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი ა. წ. 24 თებერვლიდან იწყებს პარტიული ბილეთების დარიგებას.

პარტიული ბილეთის მიღება შეიძლება მე-4 რაიკომში ყოველ დღ ურად დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე მხოლოდ ინდივიდუალურად. პარტიული ბილეთის მიღებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

1) იაჩეიკის მდივნის წერილობითი ცნობა, რომ ესა თუ ის პირი ირიცხება ამ იაჩეიკაში და წესიერად ასრულებს პარტიულ მოვალეობას.

2) ქვითარი ს წევრო გადასახ დის შემოტანის შესახებ 1922 წლის დეკემბრამდე ჩათვლით.

პარტიული ბილეთის მიცემა წარმოებულ იქნება შემდეგი წესით:

1) პარტიის წევრები, რომლებიც ირიცხებიან იაჩეიკებში: № 1 სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის სტამბა, № 2—მე-3-ე სტამბა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, № 3—1 და მე-5-ე სტამბა და ლიტოგრაფია, № 4 მე-2-ე სტამბა (ყოფ. ც. კ.), № 5—სახელმწ. ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიცია—პარტიულ ბილეთებს ღებულობენ ა. წ. 24 თებერვალს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 5 დან 8 საათამდე, 2, № 6—„ლენინის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა (ყოფილი ბოზარჯიანცის ქარხ.), № 7—„კარლ მარქსის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა (ყოფ. საფაროვის), № 8—ელექტრონის ძ ლის სამმართველო, № 9—ქალაქის მე-2-ე ფურნე, № 10—ცეცხლის მქრობელი რაზმი—ა. წ. 26 თებერვალს იმავე საათებში.

3) № 11—ტყავეულობის დარგში მომუშავეთა კავშირი, № 12—სახალხო კავშირი, № 14—საქართველოს საგანგ. კომისიის ჯგუფები, № 15—ამიერ-კავკ. სამ. კომისია, № 16—ცენტრალური პარტიული სკოლა—ა. წ. 27 თებერვალს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

4) № 17—პოლიტექნიკუმი და მუშათა ფაკულტეტი, № 18—ტფილისის ქალაქის აღმასკომი, № 19—საგანგებო დანიშნულების ნაწილები, № 20—ცეკავშირი, № 21—სახ. მეურნ. საბჭო, № 22—თამბაქოს ტრესტი, № 23—ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილება, № 24—ქალაქის მილიცია—28 თებერვ ლს იმავე საათებში.

5) № 25—სახელმწ. ოპერა, № 26—ქუჩის ბავშვთა სახლი, № 27—იუსტიციის სახ. კომისარიატი და უზენაე ი და აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალები, № 28—ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭო და საქართველოს სახ. კომისართა საბჭო, № 29—მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი—1 მარტს იმ ვე საათებში.

6) № 30—სასურსათო სახ. კომისარიატი, № 31—შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი, № 32—ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი, № 33—ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებ. საქართველოში, № 34—ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრ. სახ. კომისარიატი და ამიერკ. სახელმწ. ვაჭრ. სამმართველო—2 მარტს იმავე საათებში.

7) № 36—განათლების სახ. კომისარიატი, № 37—ცენტროკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კანტორა, № 38—ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომ სარიატი, № 39—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი—3 მარტს იმავე საათებში.

8) № 40—ამიერ-კავკ. სოც. ფ. ს. რესპ. საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატი, № 41—ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რესპ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებ. საქართველოში და № 42—საგ. ნგებო განყოფილება № 4—4-მარტს იმავე საათებში.

მკერვალების, სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს მუშათა ფაკულტეტის იაჩეიკების წევრები, რომელნიც გადასული არიან მე-2-ე რაიონში—პარტიულ ბილეთს ღებულობენ ა. წ. 5 მარტს. პარტიის წევრებს, რომელნიც ვერ მიიღებენ პარტიულ ბილეთებს აღნიშნულ ვ დაში, ბილეთები მიეცემათ უკანასკნელ რიგში.

რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ხ ა ც კ ე ვ ი ჩ ი.

— მე-4 რაიონის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. მამულოვს (მბეჭდავი), რუხაძეს, ბ დილევს (წითელ არმიელთა უნ-ტი), არშს (ოკას სან. გ. განმანათლ. კომ.), ცარ. მდოვს (დარაჯების სექცია) და ელენე მარუკიანს შემოიარონ რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს.

ერთიანი პარტიული ბილეთი № 498.608, გაცემული ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. პარმენ ალექსის ძე საბაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

პროფესიონალური

— ქ. ტფილისის ყველა ხელოსანი ერთეულები უნდა შეიკრიბნენ მშრომელთა დარბაზში რუსის ქ. № 3.

25 თებერვალს დილით 8 საათზე

ორი წლის თ ვის საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამყარების დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

ყველა წევრთათვის გამოცხადება სავალდებულოა.

კ ო მ ი ტ ე ტ ი.

პროც.; ეს რასაკვირველია, აიხსნება ამ საქმეში ჩაბმულ მუშების ორგა იზმის დასუსტებით, რაიც შედეგია საერთოდ არა საკმარისი გამოკვებისა. ოილი სამუშევარის შესრულება (გადასხმა, ყუთებში ჩაწყობა) სწარმოებს იმავე ინტენსივობით, როგორიც იყო ომამდე. შრომის ინტენსივობა სარექტიფიკაციო და კონიაკის ქარხნებში უდრის ომამდე არსებული ნაყოფიერების 80 პროცენტს.

საღამშენებლო წარმოება.

საღამშენებლო საქმე დღის-დღეობით საერთოდ შეჩერებულია და ამიტომ გამორკვევა რაიმე განსაზღვრულ კრიტერიისა და მისი გამოზომვა შეუძლებელი ხდება. საღამშენებლო საქმის მდგომარეობა ასეთია: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაშია 4 წარმოება: 1) ქსანის კრამიტის ქარხანა, 2) კირის ქარხანა, 3) ცარცის ქარხანა და 4) აგურის ქარხანა. ვინაიდან ამ ქარხნების წარმოება სავსებით დამოკიდებული იყო მის ნაკეთობათა მოთხოვნაზე, ამიტომ ამ ქარხნების მუშაობას ქონდა წმინდა შემთხვევითი ხასიათი და უმეტეს შემთხვევაში იგი აკმაყოფილებდა ბაზრის ნამდვილ მოთხოვნილებას; მისი მოთხოვნა ხან იზრდებოდა და ხან მცირდებოდა. ამიტომ შეუძლებელია ამ წარმოების ნამდვილი მდგომარეობის ამა თუ იმ სურათის გადმოცემა. ერთად ერთი წარმოება, რომელიც იძლევა ერთგვარად სწორ სურათს—არის კასნის ქარხანა, რომელის ცნობები მაინც იძლევა შრომის ნაყოფიერების ერთგვარად აღრიცხვის შესაძლებლობას. შრომის ნაყოფიერება წარსულ 1921 წელში, მაგარი განაკვეთის დროს (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დასაწყისში), უდრიდა თვიურად საშუალოდ—47.050 კრამიტს, პრემიალური—ნაწრობითი სისტემის შემოღებით—ქარხნის ნაყოფიერებამ აიწია 57.670-მდე და, დასასრულ, კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე შრომის სასყიდლის შემოღებამ გამოიწვია ფრიად თვალსაჩინო გადიდება შრომის ნაყოფიერებისა, რომელმაც მიაღწია 72.640 კრამიტამდე, რაიც შეადგენს, საშვალოდ, 85,4 პროც. ომამდე არსებული პერიოდის ნაყოფიერებისას.

ხე-ტყის სახერხი წარმოება.

ხე-ტყის სახერხი წარმოება საქართველოში განვითარებული იყო მეშვიდობიან დროშიც და საქართველოს ხე-ტყის სახერხი ქარხნები აკმაყოფილებდენ ხე-ტყის მასალით თითქმის მთელ ამიერ-კავკასიას. მაგრამ, დღევანდელ პირობებში, ზოგიერთმა გარემოებამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომელმაც ერთგვარი გავლენა მოახდინა საერთოდ ამ ქარხნების მუშაობაზე. ცნობები შრომის ნაყოფიერების შესახებ მოგვეპოვება სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს სატყეო კომიტეტის ოთხი ქარხნისათვის და ისიც მხოლოდ 1922 წლისა, რადგანაც 1921 წელში ამ ქარხნებში ნორმალური მუშაობა არ ყოფილა წარმოებული და ამის გამო შეუძლებელი ხდება შრომის ნაყოფიერების სისწორით გამოანგარიშება. გარდა ამისა ნუსხაში მოყვანილი ცნობები სამხედრო ხე-ტყის სახერხი ქარხნის შესახებ, იანვარი-მარტის პერიოდის განმავლობაში, სანამ შემოღებული იქნებოდა კოლექტიური ხელშეკრულობის საფუძველზე შრომის სასყიდელის განსაზღვრა, არ არის საკმარისად სრული და დამთავრებული, მაგრამ აღვნიშნავთ რა იმას, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ნაყოფიერება მაინც დაბალი იყო, საჭიროა განვაცხადოთ, რომ შემდეგ ხანაში, როცა შემოღებულ იქნა კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე შრომის სასყიდლის განსაზღვრა, ეს ნაყოფიერება თანდათან იზრდება და დღეს დღეობით იგი უკვე უდრის ომამდე არსებული პერიოდის ნაყოფიერების 90-100 პროც.

ცნობები ხე-ტყის სახერხი ქარხნების ნაყოფიერების შესახებ 1922 წელში.

წარმოებათა სახელწოდება	ომამდე არსებულ პერიოდისამდი პროცენტულ დამოკიდებულება		
	იანვარი	მაისი	ივლისი
ქალ. ფოთის 2 ხე-ტყის სახერხი ქარხანა	50	80	90
რედუტ-კალეს ხე-ტყის სახერხი ქარხანა	—	20	100
სამხედრო ხე-ტყის ს ხერხი ქარხანა (მადათოვის კუნძული)	60	90	90

რასაკვირველია, დღევანდელ პირობებში ეს მიღწევა არსებითად სავსებით უდრის ომამდე არსებულ ნაყოფიერებას, რადგანაც დანარჩენი 10 პროც. უნდა მივაწეროთ მანქანების ძლიერ გაცვეთას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ხე-ტყის ორი სახერხი ქარხანა, რომელნიც ეკუთვნიან ბორჯომის სახელმწიფო მამულს. თუმცა ჩვენ არ მოგვეპოვება ციფრებითი სწორი მასალა ამ ქარხნების მუშაობის შესახებ, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ დამუშავების ნორმას, შეიძლება ითქვას, რომ შრომის ნაყოფიერება ამ ქარხნებშიც იმავე დონეზეა, როგორც სხვა დანარჩენ ქარხნებში. ყოველივე ზემონათქვამს აუცილებლად უნდა დაუმატოთ ის, რომ ხე-ტყის სახერხ ქარხნებში შრომის ნაყოფიერებაზე ძალიან უარყოფითი გავლენა აქვს ნედლი მასალის იმ სათანადო რაოდენობის უქონლობას, რომელიც საჭიროა წარმოების ნამდვილი დატვირთვისათვის. ხის საკეთებელი სახელოსნო საქართველოში ორია: ერთმა მათგანმა წარსულში დაამზადა პარკეტი და ეხლა ასრულებს ნორმალური ინტენსივობით სადურგლო საქმეს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებისათვის; მეორე—გრეხილოვანი დგამის ფაბრიკას წარსულ 1921 წელში ძალიან მცირე ნაყოფიერება ჰქონდა და ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა. მიმდინარე 1922 წელში, მას შემდეგ, რაც იგი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, მტკიცე საფუძველზე სდგას, გაცხოველებულად მუშაობს და მისი ნაყოფიერება უდრის ომამდე არსებული ნაყოფიერების 90 პროც.

სათერძო და საკერავი წარმოება.

საქართველოში საფაბრიკო ტიპის საკერავი წარმოების წარმოშობა გამოიწვია 1914 წლის ომმა და მთელი ხნის განმავლობაში ისევე, როგორც დღის-დღეობით, იგი ასრულებდა მხოლოდ არმიის შეკვეთებს და ამ ჟამად, იგი, გარდა ამისა, ამზადებს მუშებისათვის წარმოების შესაფერ და სპეციალურ ტანთსაცმელს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, საკერავ წარმოებამ დაიწყო მუშაობა კერძო ბაზრისათვისაც, ასრულებს რა ცკერძოდან სამუშაოს კერძო პირთა და ორგანიზაციებისათვის. შრომის ნაყოფიერება, თუ ავიღებთ რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ანალოგიურ წარმოებათა ომამდე არსებულ ნორმას 100 პროცენტათ,—შეადგენდა 1921 წელში 50 პროც.-ს, ხოლო 1922 წელში კი—90 პროც.; მაგრამ თუ ჩვენ დავაკვირდებით შრომის ნაყოფიერების ცვალებადობას ნაკეთობის საანგარიშო ერთეულში, მაშინ თვითეული მომუშავე ამზადებდა 1921 წელში 72 საანგარიშო ერთეულს და 1922 წელში 128 საანგარიშო ერთეულს.

კომუნალური მეურნეობა,

შრომის ინტენსივობის აღნუსხვა კომუნალურ მეურნეობაში—წყალსადენი, აბანოები, ტრამვაი, ელექტრონის სადგურები,—მოუხერხებელი ხდება, რადგანაც შეუძლებელია გამოინახოს საზომი ერთეულები, ტრამვაის გარდა, ვინაიდან შრომის ნაყოფიერება წყალსადენსა და ელექტრონის სადგურებზე დამოკიდებულია უმთავრესად მანქანების სისწორით მუშაობაზე და აგრეთვე იმაზეც, თუ მთელი მოწყობილობა საერთოდ რაოდენათ გაუფუჭებელი და დაცულია. ანგარიშები ხსენებულ წარმოებებში მუშაობის მსვლელობის შესახებ გვარწმუნებენ იმაში, რომ მომუშავენი მათთვის დანაკისრებ მოვალეობას ეკიდებიან კეთილსინდისიერათ და მუყაითად და თუ მიუხედავათ სიძველისა და გაცვეთისა მანქანები მაინც დამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ეს კიდევ ერთი ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთია შრომის ინტენსივობის ნორმალური მდგომარეობისა. ტრამვაი იძლევა შრომის ინტენსივობის შემდეგ სურათს—ომამდე არსებულ პერიოდს ვიღებთ რა 100 პროც.-ათ, მიმდინარე წლის იანვარი იძლევა—50 პროც., მაისი—62,5 პროც. ივნისი—84 პროც. შემდეგ თვეებში კიდევ უფრო აშკარად იჩენს თავს ტენდენცია გადიდებისა. 1921 წელი აღნიშნულია ინტენსივობის საგრძნობლად დაბალი პროცენტით, და განსაკუთრებით ინტენსივობის საოცარ შემცირებას ადგილი ქონდა მაგარი სატარიფო განაკვეთების დროს წარსული წლის გაზაფხულზე.

ხ. ჯულელი.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო

განყოფილება

გამოსცა და იყიდება ამავე განყოფილების ექსპედიციაში (რუსთ. ქ.) შემდეგი ლიტერატურა ქართულ ენაზე:

1. **ბოგდანოვის**—მოკლე კურსი ეკონომიურ მოძღვრებათა
2. **ბოგდანოვის**—დაწყებითი კურსი პოლიტ. ეკონომიისა
3. **ტროცკი**—იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა
4. **კ. მარქსი**—საქირაო შრომა და კაპიტალი
5. **ბლონინა**—მუშა-ქალი ინტერნაციონალში
6. **სტეპანოვი**—ნარკვევი რელიგიურ რწმენის განვითარებიდან
7. **სახნოვსკი**—რასეია
8. **ბუხარინი**—სკოლა და ეკლესია საბჭოთა რესპუბლიკებში
9. **ნევსკი**—დღესასწაულები ქრისტიანული და მუშურ-გლეხური
10. ჟურნალი—კომუნიზმის დროშა № 1.
11. ჟურნალი—კომუნიზმის დროშა № 2—3.
12. **ტროცკი**—ოქტომბრის რევოლიუცია
13. **ჩიჩერინი**—ნარკვევი ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ისტ.
14. **ლილინა**—კომუნისტური ოჯახიდან კომუნისტურ საზოგად.
15. **ზინოვიევი**—მე-3 კომინტერნი
16. **ბატურინი**—ნარკვევი ს. დ. ისტორიისა რუსეთში.
17. **სტეკლოვი**—ისტორია მუშათა მოძრაობისა
18. **პავლოვი**—წარმოშობა მუშა კლ. რუსეთში და მისი პირვ. ნაბიჯ.
19. „ ქვეყნიერების გაჩენა განვითარება
20. „ წესდება რუსეთის კომუნისტურ პარტიისა.
21. **ფულუკიძე**—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან
22. **მახარაძე**—მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში.

აღნიშნული ლიტერატურა შეუძლიან შეიძინოს ყველა პარტიულ,
ფესიონალურ, სამხედრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს 30
დათმობით.

საქ. კომპარტიის საგიტ.-საპროპ. განყ. **ექსპედიცია.**
(კრ. 216 3—

განცხადებები

გულმოკლული შვილი ალექსანდრე ვენედიქტეძე რძალი: ევგენია დავითის ასული, შვილის შვილები ზინაიდა, ლიდია და ოთარი ალექსანდრეს ასულნი და ძე მგალობლიშვილები, ძმა თეოფინე იოსების ძე რძალი ანასტასია ალექსის ასული და ძმის შვილი გიორგი თეოფინეს ძე კანდელაკები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემ ეგ გარდაიცვალა

რევეკა იოსების ასული მგალობლიშვილისა

გამოსვენება საკუთარისახლიდან კირპიჩნის შესახვევი № 6 11 საათზე კვირას, 25 თებერვალს, დაკრძალვა ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. (189—1—1)

ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის განყოფილების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარევიზიო კომისია ა. წ. 20 თებერვლიდან შეუდგა აღმასკომის: 1) სადარაბო სექციის, 2) საბინაო განყოფილების და 3) საბჭოთა სამმართველოს რევიზიას. ვთხოვთ ყველა მოქალაქეთ, რომლებსაც აქვთ რაიმე ცნობები ზემოხსენებულ განყოფილებებში მომხდარ ბოროტ-მოქმედების შესახებ, ერთი კვირის განმავლობაში აცნობონ სარევიზიო კომისიას. კომისია ღებულობს განცხადებებს ყოველ დღე, გარდა უქმისა, დილის 12 საათ. 2 ს-მდე, აღმასკომის შენობაში, ოთახი № 18.

კრ. 212 3—3 სარევიზიო კომისია.

იყიდება კარგათ მორთული

სახლი

თავისუფალი ბინებით. ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2, 11—2 და 5—7 საათამდე.
(141—3—1)

საერთო განათლ. კურსებზე **მე-5, მე-6, მე-7 კლას ტეხნიკუმში**, შრომის სკოლაში, სამხედრო სასწავ., მუშათა ფაკულტ., საბებიო ინსტიტუტში (ქალებს) მომავალ სამოსწავლო წლისათვის

ვამზადებ მოწაფეებს

და ვასწორებ ჩამორჩენილებს მათემატიკაში, გერმანულ, რუსულ ენებში—ვიძლევი აგრეთვე ცალკე გაკვეთილებს **ლათინურ ენაში**, პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა 9—1 საათ. და 3—6 საათ. (172—3—1)

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ელექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეზხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ხ. ხაღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23 (684—25—14)

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგიასი
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკის ქ. № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—21)

საქართველოს ტეხნიკური საადმშ-
ნებლო ბიურო

სატსამბო

მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი №
ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ-სენაკში.

ყველაფერი

ელექტროფიკაციისათვის

ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.

კრ. 682—0—

=რ. ს. ფ. ს. რ.=
სახელმწიფო ბანკის
ტფილისის კანტორა
აწარმოებს
შეღავათიან პირობებში
საფოსტო-სატელეგრაფო
გადაგზავნა
=ოქროს ფულით=
(სახელმწიფო ბანკის
საბანკო ბილეთებში)
ყველა ქალაქებში, სადაც მოიპოვება
ხელმწიფო ბანკის დაწესებულებები
რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო
ტფილისის კანტორა.
კრ. 209 3—2

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ
ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის
ნელობით. ტფილისი, ყოროღნოვის ქ. № 20. (733—25—

დაიკარგა ბილეთი სამი თვისა მოცდეული ქობულეთში
ახმედის ძე ცეცხლაძის სახელზე ჩაითვალოს
ბულათ. (187—

დაიკარგა პასპორტი მე-2 კომისარიატიდან მარიამ
საშვილის სახელზე გაცემული ჩაითვალოს
ბულათ. (170—

დაიკარგა საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის
დრია ნიკოლოზის ძე ორლოვის სახელზე
საწევრო წიგნაკი № 549, ჩაითვალოს გაუქმებულათ. (188—

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო ინსპექცია

აცხადებს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მწარმოებლების საყურადღებოდ, რომ დადგენილების № 21-ის მეხუთე მუხლის დადგენილება № 22-ის მეექვსე მუხლის თანახმად, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანო—„საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1922 წლის ბალანსის პუბლიკაციის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1923 წლის 15 აპრილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დადგენილება № 22-ის მეექვსე მუხლში „ქვე-მუხლი 2“-ის ნაცვლად უნდა წაკითხულ იქნეს „ქვე-მუხლი 3“.

კრ. 215 3—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.